პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№88 (11394) | პარასკევი, 17 აპრილი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ

სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი, იბრძოლეთ ცხოვრებასთან, წარმოებასთან სკოლის მჭიდრო კავშირისათვის! აღზარდეთ მოზარდი თაობა შრომის სიყვარულისა და საბჭოთა სამშობლოსადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

სკოლა და ცხოვრება

დღეს საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია განიხილავს უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხს — „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის პროექტს, რომელიც გამომდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის დეკემბრის სესიის მიერ მიღებული კანონიდან.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში უდიდესი როლი ენიჭება საბჭოთა სკოლას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების თაობაზე კიდევ უფრო აამაღლებენ კომუნისტური საზოგადოების შეგნებულ მშენებლებად ჩვენი ახალგაზრდობის სწავლასა და აღზრდას.

ამიერიდან საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში წითელ ზოლად იქნება გავლებული მოსწავლეთა სწავლების ნაყოფიერ შრომასთან შეერთების პრინციპი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში სახალხო განათლების ფრონტზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ხუთწლედების მანძილზე ნამდვილი რევოლუცია მოხდა. ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში სახალხო განათლების დონის მხრივ. კანონი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის პირველი სესია მიიღებს, კიდევ უფრო აამაღლებს სკოლის როლს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, გაზრდის სახალხო განათლების დონეს რესპუბლიკაში, სასკოლო ცხოვრებას უფრო ნათლად და მტკიცედ დაუქვემდებარებს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა, დიადი შვიდწლიანი გეგმის განხორციელების ინტერესებს.

ჯერ კიდევ პარტიის XX ყრილობის შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო განათლების, სასკოლო ცხოვრების დარგში მომხდარი გაუმჯობესებანი თვალსაჩინო და მაღალი შედეგებით ხასიათდება. მრავალ საშუალო და შვიდწლიან სკოლაში შეიქმნა საზეინკლო, სადურგლო და სხვა სახელოსნოები, საჭირო ხელსაწყო-იარაღებით შეივსო არსებული სასწავლო კაბინეტები, ზოგან ასეთი კაბინეტები ახლად მოეწყო. ბევრ სკოლაში გამოიყო სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, რომლებიც ბავშვთა სწავლისა და ნაყოფიერი შრომის საქმეს ემსახურება. შემოღებულ იქნა ისეთი საგნების სწავლება, როგორიც არის ხელგარჯილობა, მანქანათმცოდნეობა, წარმოების საფუძვლები და სხვ. ყველა ამ საგნის სწავლება უშუალოდ დაკავშირებულია შრომის პროცესთან. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს შეფმა საწარმოებმა. მრავალ სკოლაში შემოღებულ იქნა საწარმოო სწავლება — მოსწავლეები ეუფლებიან ხარატის, დურგლის, ზეინკლის, ელექტროზეინკლის, ტრაქტორისტის, ჩაის ტექნოლოგის, ავტომექანიკოსის, მეცხოველის, ფეიქრის და მთელ რიგ სხვა პროფესიებს. ეს მოსწავლეები საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატთან ერთად მიიღებენ მოწმობასაც რომელიმე სპეციალობის დაუფლების შესახებ, ცხოვრებაში გამოვლენ მომზადებულნი, პრაქტიკული შრომისათვის გაწვრთნილნი. სოფლად სკოლებში შექმნილმა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებმა მარტო შარშან ზაფხულში ასეულ ათასობით შრომადღე გამოიმუშავეს, შექმნეს მატერიალური დოვლათი. წელს თბილისის მე-10, მე-12, მე-14 საშუალო სკოლების მე-9 კლასების მოსწავლე ვაჟები კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანას მიემაგრნენ ზეინკლისა და ხარატის სპეციალობათა ასათვისებლად, ხოლო იმავე სკოლების მოსწავლე გოგონები — № 7 სამკერვალო ფაბრიკას ტანსაცმლის გამოჭრისა და შეკერვის შესასწავლად. ყველაფერმა ამან აამაღლა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, შეგნება, დისციპლინა.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების მხრივ დღემდე წარმოებული მუშაობა პირველი ნაბიჯია. გრანდიოზული სამუშაოები ამ მხრივ ჯერ კიდევ წინ არის, და სწორედ კანონი, რომელსაც ამ დღეებში სესია მიიღებს და დაამტკიცებს, სახალხო განათლების ორგანოებს მისცემს გეზს, რომლითაც უნდა წარიმართოს მთელი სასკოლო მუშაობა. 1959-60 სასწავლო წლიდან დაიწყება რესპუბლიკაში სკოლის გარდაქმნა და დამთავრდება 3-5 წლის განმავლობაში. ამასთან მტკიცედ იქნება გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებანი. ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება არა თუ არ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო აღრმავებს მოსწავლეთა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა თეორიულ ცოდნას.

ამჟამად არსებული შვიდწლიანი სკოლები და საშუალო სკოლების I-VII კლასები სამ-ხუთი წლის განმავლობაში რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ სკოლებად გადაკეთდება. რვაწლიანი სკოლა როგორც ახალი ტიპის სკოლა, ბევრად უფრო მეტ ცოდნას და პრაქტიკული შრომის ჩვევებს მისცემს მოსწავლეს. რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულს შრომის ფერხულში ჩაბმასთან ერთად საშუალება ეძლევა განაგრძოს სწავლა მუშა ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ სკოლებში საწარმოო სწავლებით, ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში. ამ სკოლების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდება, მათში მოსწავლეთა კონტინგენტი თვალსაჩინოდ გაიზრდება. გაიზრდება აგრეთვე სკოლა-ინტერნატების ქსელი იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სკოლიდან დაშორებით ცხოვრობენ, შემდგომ განვითარდება საშუალო (11-წლიანი) ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური სკოლები იმ ბავშვებისათვის, რომლებიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ ნიჭს მუსიკისადმი, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნებისადმი.

ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები უზრუნველყოფენ ახალგაზრდობას მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატიზებული ცოდნით, განამტკიცებენ მათს კავშირს პრაქტიკასთან, გამოუმუშავებენ მათ შრომითი საქმიანობის ჩვევებს.

ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით სწავლას დაიწყებენ მომავალი სასწავლო წლიდან I-V კლასები, რითაც საფუძველი ჩაეყრება შვიდწლიანი სკოლების (საშუალო სკოლების I-VII კლასების) გარდაქმნას რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ სკოლებად, რომლების კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება 1962-63 სასწავლო წელს მოხდება.

საშუალო სკოლა კვლავ რჩება მკვებავ წყაროდ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, მხოლოდ იმ პირობით, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭებათ პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირებს.

უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნა დაექვემდებარება სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის შეერთების, კომუნიზმის აქტიური მშენებლების აღზრდის პრინციპებს.

საბჭოთა სკოლისათვის ზრუნვა, სკოლის გარდაქმნა, სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება მთელი ჩვენი ხალხის საქმეა. მას უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამ საქმეს მტკიცედ უნდა უხელმძღვანელონ ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა. საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია მხარში ამოუდგნენ, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახალხო განათლების ორგანოებს, დაეხმარონ მათ იმ კანონის განუხრელად გატარებაში, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მიიღებს.

სკოლა ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს, სკოლამ უნდა აღზარდოს კომუნიზმის მომავალი აქტიური მშენებლები.

სკოლიდან წარმოებაში

გასულ წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა ზესტაფონის საშუალო სკოლა მეგი გორგოძემ. ნიჭიერმა გოგონამ მუშაობა მშობლიური ქალაქის პურისსაცხობ ქარხანაში დაიწყო. სკოლაში მიღებულმა ცოდნამ მას საშუალება მისცა ადვილად შეესწავლა ლაბორანტის პროფესია. ახლა მეგი ქარხნის მოწინავე ადამიანების რიგებშია. მაგრამ ახალგაზრდა ლაბორანტს სწავლაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. მას განზრახული აქვს წელს ჩაირიცხოს თბილისის ზოოტექნიკურ ინსტიტუტში და შრომასთან ერთად მიიღოს უმაღლესი განათლება.

ფოტო შ. კუკულავასი.

ჭიათურელი სპეციალისტები კრივოი როგში

ჭიათურა. (საკ. კორ.). კრივოი როგში გაიხსნა სამთოელთა და მადნის გამამდიდრებელთა სრულიად საკავშირო თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჭიათურიდან კრივოი როგში გაემგზავრა ინჟინერთა ჯგუფი, რომელშიც შედიან: მარგანტრესტის მთავარი გამამდიდრებელი ქ. ჯინჭველაშვილი, ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი გ. ნოსელიძე, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს მთავარი ინჟინერი ნ. გამცემლიძე და სტალინის სახელობის მაღაროს უბნის გამგე ბ. სამხარაძე.

მარგანეცის გამდიდრების ტექნოლოგიის ახალ მეთოდებზე თათბირი მოისმენს ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი გამამდიდრებლის ქ. ჯინჭველაშვილის მოხსენებას.

თათბირის მონაწილენი გაეცნობიან კრივოი როგისა და ნიკოპოლის საწარმოთა მუშაობას.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

15 აპრილს დილით დაიწყო რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. პროხოროვი, რომელიც სიტყვას აძლევს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს ა. ს. ტროფიმოვს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, ამბობს იგი, ჩაიარა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. 835-ე საარჩევნო ოლქში კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა. არჩევნების ყველა მონაწილის 99,62 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შემდეგ ამხ. ტროფიმოვი აღნიშნავს, რომ ყველა დეპუტატი არჩეულია რუსეთის სფსრ კონსტიტუციისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

სესიამ ერთხმად ცნო არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი.

ამის შემდეგ დეპუტატებმა განაგრძეს რუსეთის სფს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების საკითხის განხილვა.

შემდეგ სხდომაზე გამოაქვეყნეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ დ. ს. პოლიანსკის განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობა იხსნის რწმუნებებს უმაღლესი საბჭოს წინაშე. უმაღლესმა საბჭომ დაადგინა მიიღოს ეს განცხადება, მოიწონოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს საქმიანობა და დაავალოს დ. ს. პოლიანსკის წარმოადგინოს წინადადება რუსეთის სფსრ მთავრობის შემადგენლობის შესახებ. რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ დაავალა მინისტრთა საბჭოს წინანდელ შემადგენლობას განაგრძოს თავისი საქმიანობა ახალი მთავრობის დამტკიცებამდე.

16 აპრილს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ სკოლის გარდაქმნა შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, რომ ეს უზრუნველყოფს საბჭოთა ახალგაზრდობის მომზადებას შრომითი საქმიანობისათვის, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხელს უწყობს ქალიშვილებისა და ჭაბუკების აქტიურ მონაწილეობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

კამათი მთავრდება. საბოლოო სიტყვას სესიაზე ამბობენ ე. ი. აფანასენკო, ა. ფ. ბორდადინი, ვ. ნ. სტოლეტოვი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ა. ტ. გნედოვის** წინადადებით სესიამ მიიღო კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ რუსეთის სფს რესპუბლიკაში იმ შესწორებებითა და დამატებებით, რომლებიც კომისიამ შეიტანა.

სესიამ დაიწყო განხილვა დღის წესრიგის შემდეგი პუნქტისა: „რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა“.

პარტიული ჯგუფისა და უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, მდივნის, აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრების შესახებ შეიტანა **ა. ბ. არისტოვმა.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ამხ. არისტოვს წინადადება შეაქვს, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **ნ. გ. იგნატოვი.**

სესიამ ერთხმად აირჩია ამხ. ნ. გ. იგნატოვი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. არჩეული არიან აგრეთვე რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის წევრები.

დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგის უკანასკნელი პუნქტი — რუსეთის სფსრ მთავრობის — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა. დეპუტატმა დ. ს. პოლიანსკიმ სესიას წარუდგინა რუსეთის სფსრ ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც სესიამ ერთხმად დაამტკიცა.

ამით რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ დაამთავრა მუშაობა. (საკდესი).

მოსკოვი შეხვდა მოდრეიფე სადგურების პოლარელებს

14 აპრილს შუადღისას პოლარული ავიაციის თვითმფრინავმა, რომლის პილოტიც მფრინავი ეფიმოვია, დედაქალაქში ჩამოიყვანა 12 მოსკოველი პოლარელი მოდრეიფე სადგურებიდან „ჩრდილოეთი პოლუსი-6“ და „ჩრდილოეთი პოლუსი-7“. გაზაფხულსავით მზიანი მოსკოვი გულთბილად შეხვდა არქტიკის მამაც მკვლევარებს, რომლებიც ერთი წელიწადია ყინულოვანი ოკეანის ცენტრალური აუზის სუსხიან რაიონში დრეიფობდნენ.

ვნუკოვოს აეროდრომზე პოლარელებს შეხვდნენ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, ახლობლები, არქტიკელი ამხანაგები. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის წიგნი

„გამარჯვებისაკენ მშვიდობიან შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის წიგნი „გამარჯვებისაკენ მშვიდობიან შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან“.

კრებულში, რომელიც გამომცემლობამ მოამზადა მკითხველთა მრავალ სურვილთან დაკავშირებით, შეტანილია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, გამოსვლები უნგრეთში, ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს, საუბრები და ინტერვიუები უცხოელ ჟურნალისტებთან, პასუხები ამერიკის, პოლონეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, საბერძნეთის, მექსიკისა და სხვა გაზეთებისა და ჟურნალების კორესპონდენტთა კითხვებზე, მიმოწერა საზღვარგარეთელ მოღვაწეებთან და 1958 წლის სხვა მასალები.

წიგნი იძლევა მკაფიო წარმოდგენას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ საგარეო პოლიტიკაზე, რომლის გენერალური ხაზი ყოველთვის იყო და არის ბრძოლა მშვიდობისათვის და ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

კრებულის მასალები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხს და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებს ურყევად სწამთ სოციალიზმის უდიდესი უპირატესობანი მშვიდობიან შეჯიბრებაში დრომოჭმულ კაპიტალიზმის სისტემასთან. „ჩვენ, — თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ლენინგრადის მშრომელთა მიტინგზე, რომელიც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა მეგობრობას მიეძღვნა 1958 წლის 4 ნოემბერს, — ვცხოვრობთ შესანიშნავ ხანაში, როცა ისტორიულ განვითარებას გარდუვალად მივყავართ სოციალიზმისა და კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ მთელ მსოფლიოში. სოციალიზმი ოცნებიდან გადაიქცა ჩვენს დროში დიად და უძლეველ მსოფლიო ძალად, რომელიც თავისი გრანდიოზული გამარჯვებებით მთელი კაცობრიობის განცვიფრებას იწვევს“.

კრებული გამოცემულია მასობრივი ტირაჟით.

ამხ. ცოი ენ გენი მოსკოვს დაბრუნდა

16 აპრილს დილით ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცოი ენ გენი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ხონ მენ ხი, უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი კან რიან უკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი დონ გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ პპარი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვაგზალში კორეელ სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი და სხვები.

ამავე დროს მოსკოვს დაბრუნდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. დიგაი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი, რომლებიც საპატიო სტუმარს ახლდნენ სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

* * *

16 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი კრემლში შეხვდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ცოი ენ გენს და მის თანმხლებ პირებს. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია გაიხსნება დღეს, 17 აპრილს, დღის 12 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. (საქდესი).

გუშინ საკოლმეურნეო მინდვრებზე

★

მხარს ვუჭერთ მექანიზატორ გ. სიხაშვილის თაოსნობას

გაზეთ „კომუნისტში“ წავიკითხე ქარელის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის გიორგი სიხაშვილის წერილი. კარგია მისი თაოსნობა. ქარელელ მექანიზატორთა მაგალითისამებრ ჩვენი სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა გადაწყვიტეს გააჩაღონ ბრძოლა სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების მექანიზაციისათვის.

ამ მიზნით ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ წელს კომპლექსური მექანიზაცია განვახორციელოთ და მოვიყვანოთ 100 ჰექტარზე სიმინდი, 10 ჰექტარზე შაქრის ჭარხალი, ამასთან გავადიდოთ მათი მოსავლიანობა. მაგალითად, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 30 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 ცენტნერისა და 350 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 235 ცენტნერისა. შაქრის ჭარხლის თესვას ამ დღეებში დავამთავრებთ. ვამზადებთ ნიადაგს სიმინდის დასათესად კვადრატულ-ბუდობრივად.

ა. აკოფოვი,
ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

თესვა დაამთავრეს

გურჯაანი. ამ დღეებში განსაკუთრებით მექანიზატორები მამაცობენ. ვაზისუბნელები გაეცნენ ქარელელი მექანიზატორის გ. სიხაშვილის წერილს და გადაწყვიტეს იმუშაონ ისე, როგორც უკრაინელი მექანიზატორი ა. გიტალოვი მუშაობს.

ტრაქტორისტმა არჩილ გოჩინაშვილმა ხუთ დღეში კვადრატულ-ბუდობრივად 110 ჰექტარი სიმინდი დათესა. აქედან ნახევარს თვითონ დაამუშავებს და საშუალოდ ჰექტარზე 75 ცენტნერ მარცვალს მიიღებს.

ვაზისუბნელებმა დაამთავრეს აგრეთვე სასილოსე სიმინდის თესვა. მექანიზატორმა გ. თადიაშვილმა 105 ჰექტარი დათესა.

თესვაში სხვებიც დაწინაურდნენ. სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობამ ყველა კულტურის თესვა დაამთავრა. ტრაქტორისტმა ცაცო გოგოლაშვილმა, რომელიც გ. სიხაშვილის მიმართვის პასუხად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, 135 ჰექტარი სიმინდი დათესა კვადრატულ-ბუდობრივად.

საგაზაფხულო თესვას ოთხ-ხუთ დღეში დაამთავრებენ ბაკურციხის, შრომის, შაშიანის და სხვა კოლმეურნეობები.



★

მახარაძე

სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობამ რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრა ჩაის ბუჩქების გასხვლა და სხვა სამუშაოები. განსაკუთრებით დაწინაურდა ის რგოლი, რომელსაც მოხუცი კოლმეურნე ელპიტე გოლიაძე ხელმძღვანელობს. რგოლს 3,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია სანიმუშოდ აქვს მოვლილი. დამატებით შეიტანეს 65 ტონაზე მეტი გადამწვარი ნაკელი. მეჩაიეები მზად ხვდებიან ჩაის კრეფის სეზონს. ეს რგოლი შეჯიბრებაში ჩაება სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის იმ რგოლთან, რომლის ხელმძღვანელია ნადია მამეიშვილი.

ამბროლაური

ამბროლაურის რაიონის დაბლობი ზონის სოფლებში მასობრივად დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა.

თესვაში ჯერჯერობით პირველობას ინარჩუნებს სოფელ ხიდიკრის კოლმეურნეობა. აქ უკვე დაამთავრეს ბოსტნეულის და მრავალწლიანი ბალახების თესვა. შეუფერხებლად მუშაობს ახალგაზრდა ტრაქტორისტი ლ. ბიჭაშვილი. თესვაში განსაკუთრებით დაწინაურდა კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ს. გუგესაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ ფერდობ ადგილებში, ცოცხალი გამწევი ძალით დათესა სიმინდი 10 ჰექტარზე.

საგაზაფხულო კულტურების თესვა ორგანიზებულად დაიწყო აგრეთვე ჭყვიშის, აბროლაურის, სადმელის, საკეცის და სხვა კოლმეურნეობებში.

მარნეული

მარნეულელი მეთამბაქოეები მინდვრად სამუშაოდ გავიდნენ. შეამოწმეს ჩითილის მდგომარეობა და შესაძლებლად მიიჩნიეს გადარგვის დაწყება. უკვე ბევრ კოლმეურნეობაში შეუდგნენ ამ სამუშაოს. დაბა მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს 3 ჰექტარზე დარგეს თამბაქო და დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს.

ნერგავენ მექანიზაციას

მზიანი დღეებია. ოჩამჩირის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრებზე მეჩაიე კოლმეურნეები მასობრივად გამოსულან ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ. ჩქარობენ ბუჩქების გასხვლის დამთავრებას. კოლმეურნეებს დიდად უმსუბუქებს შრომას ჩაის პლანტაციებში მექანიზაციის დანერგვა.

ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ ნერგავენ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. აქ ახლახან მიიღეს ახალი თვითმავალი შასი „სშ-მგ“, რომელიც დიდად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამ მანქანის გამოყენებით ყოველდღიურად შეიძლება მძიმე შრომისაგან განთავისუფლდეს 40 მუშახელი.

ამ მანქანებით წელს მეურნეობაში ათობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია გასხლეს.

* * *

სურათზე: თვითმავალი შასი მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში ბუჩქების სხვლის დროს.

ფოტო ს. კოროტკოვისა.



შრომაში იწრთობიან, ვაჟკაცდებიან

წარმოებასთან, ცხოვრებასთან სკოლის მჭიდრო კავშირი

ცხოვრების ფერხულში

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლაში 1956 წლიდან შემოღებულია საწარმოო სწავლება მეცხოველეობაში. ეს სავსებით სწორი ნაბიჯი იყო, ვინაიდან რუხის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა) მეცხოველეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ეს კი ჩვენს სკოლაში საწარმოო სწავლებისათვის ხელსაყრელ პირობას ქმნის.

მაგრამ საქმე მარტო საწარმოო ბაზა როდია. არა გვყავდა მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები. დახმარებისათვის მივმართეთ რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციას, და საქმეც მოგვარდა. მასწავლებლებად გამოყოფილ იქნენ რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი დ. ჰითანავა და უფროსი ზოოტექნიკოსი ა. შავლაყაძე.

ფერმებში საწარმოო სწავლებას გადის მე-8-9-10 კლასების 75 მოსწავლე. მეცადინეობა წარმოებს კვირაში სამჯერ სასწავლო პროგრამის შესაბამისად. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, გათბობითა და განათებით. მეცადინეობა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ოთახებში, რომლებშიც გამოფენილია მდიდარი ლიტერატურა მეცხოველეობაში, კედლებზე გაკრულია ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები, ნახაზები, თვალსაჩინოების სხვა საშუალებანი.

დიდია მოსწავლეთა წვლილი კოლმეურნეობის მეცხოველეობის აღმავლობაში. ფერმის მუშაკები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ სწორედ მოსწავლეთა რგოლების ენერგიული მუშაობით გახდა შესაძლებელი სამუშაოთა მექანიზაციის სრულად გამოყენება, პირუტყვის მოვლა-კვების თვალსაჩინოდ გაუმჯობესება, რამაც უზრუნველყო 1958 წლისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე 2812 ლიტრი რძის მიღება.

ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი მოსწავლეებმა ქ. გილენიძემ, ნ. ზაქარაიამ, ი. თოდუამ, ი. ოყუჯავამ. მოსწავლეებს მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ ფერმის სახელგანთქმული მწველავები თინიკო და მარგო თოდუები, თამარ გედენიძე.

გარდა მეძროხეობის ფერმისა, მოსწავლეების რგოლები აგრეთვე მიმაგრებული არიან მეღორეობის, მეკურდღლეობისა და მეფრინველეობის ფერმებში.

მეცხოველეობაში მოსწავლეთა საწარმოო შრომის ორგანიზაციის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო კედლის გაზეთი, რომელშიც სისტემატურად შუქდება სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, მოწინავეთა მუშაობის გამოცდილება. წელს მე-10 კლასების მოსწავლეები სიმწიფის ატესტატთან ერთად უმცროსი ზოოტექნიკოსის წოდებასაც მიიღებენ.

ი. ურიდია,
რუხის საშუალო სკოლის დირექტორი.

სამაგალითო გოგონა

შეხედეთ ამ გოგონას. მას ნათელა ჰქვია, გვარად ზუბოვაა. ამბროლაურის რაიონში, სოფელ წესში დაიბადა და გაიზარდა.

ახლა ის მხოლოდ 18 წლისაა, მაგრამ მის საქმეებზე ლაპარაკობენ არა მარტო მშობლიურ სოფელში, არამედ მთელ რაიონში.

რით მიიპყრო მან ყურადღება?

ნათელა ზუბოვამ შარშან ოქროს მედლით დაამთავრა ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლა. მას გზა გახსნილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლისაკენ. მაგრამ პატრიოტმა კომკავშირელმა მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩენა არჩია. კოლმეურნეობის გამგეობამ იგი გასული წლის 30 სექტემბრიდან მეღორეობის ფერმაში გაგზავნა სამუშაოდ. მოსავლელად 10 დედა ღორი ჩააბარეს.



ამ დღიდან მოყოლებული ნათელა მუდამ ფერმაშია. დიდი მზრუნველობით უვლის პირუტყვს. ცხოველებმაც კარგად შეიშვნეს მოვლა, გასუქდნენ, გაიზარდნენ. უკანასკნელი შვიდი თვის განმავლობაში ყველა ღორმა მოიგო გოჭები. თავისი მუშაობის მოკლე პერიოდში ახალგაზრდა მეღორემ 105 გოჭი გაზარდა. შარშან 123 შრომადღე გამოიმუშავა, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კი — 105 შრომადღე. მეღორეობის განვითარების საქმეში წარმატების მოპოვებისათვის, ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის ენერგიული გოგონა არაერთხელ იქნა დაჯილდოებული.

ახალგაზრდა ენთუზიასტმა კარგად იცის, რომ სამშობლო მოითხოვს მეტ ხორცს, მეტ დოვლათს. ამის მიღწევა კი მხოლოდ ცოდნით, მეცნიერების დაუფლებით შეიძლება. ამიტომ ნათელა ზუბოვა მონდომებით ეწაფება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას. უკვე გადაიკითხა ისეთი ბროშურები, როგორიც არის: „ღორის ინფექციური დაავადება და მასთან ბრძოლა“, „მეღორეობის განვითარება ხორცის წარმოების გადიდების აუცილებელი პირობაა“, „მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების გზები“.

ენერგიული გოგონა ყოველდღიურად იღრმავებს ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნას. გადაწყვეტილი აქვს წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შევიდეს და შრომასთან ერთად ისწავლოს.

ვ. ცირეკიძე.

ელმავალი ჯართისაგან

ნამდვილი გაზაფხული იდგა იმ დღეს თბილისის ელმავალსაშენებლო ქარხნის ეზოში. ქარხნის მოწინავე ადამიანებს, ქართული მარკის ელმავლის მშენებლებს გვერდს უმშვენებდნენ წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები.

წითელი ალმები, ყვავილების თაიგულები, გაბრწყინებული სახეები... საზეიმო განწყობილება სუფევდა. ლიანდაგზე იდგა ელმავალი წარწერით — „ამიერკავკასიის პიონერი“.

ეს ელმავალი სულ ახლახან დაიბადა ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერების მიერ შეგროვილი რამდენიმე ასეული ტონა ჯართისაგან.

— ვინ გაჭრის წითელ ლენტს? ვინ წაიყვანს ელმავალს? — ფიქრობდა თვითეული მოსწავლე. დადგა ნანატრი წუთიც და თბილისის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის VII კლასის ფრიადოსანმა მოსწავლემ იამზე სხირტლაძემ გაჭრა ლენტი და ელმავლის გასაღები მიაწოდა მემანქანეს. იქუხა ტაშმა. ელმავალი დაიძრა. ნორჩების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით თბილისის რკინიგზის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ საამაყო. მათ ყველაზე მეტი ჯართი შეაგროვეს — 29 ტონა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლე ვაჟები საწარმოო პრაქტიკას გადიან რკინიგზის ელექტროტექნიკურ ქარხანაში. ასუფთავებენ საამქროებს, ოსტატების დახმარებით ამუშავებენ დეტალებს.

ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩებიან. რკინიგზის სადგურში ყოველდღიურად 23 მოსწავლე იძენს შრომით ჩვევებს. სადგურის ცნობათა ბიუროში, რადიოკვანძში, ვაგზლის ოთახებში გადიან ისინი პრაქტიკას; განსაკუთრებული სიყვარულით და მონდომებით მუშაობენ გოგონები დედათა და ბავშვთა ოთახში. სწავლის ფრიადოსნები ლია ხიტარია, ანა ზვიადაძე, ლია ნიკურაძე კარგი მომსახურებისათვის მუდამ იმსახურებენ მგზავრთა მადლობას.

შრომითი ჩვევები თვით სკოლაშიც ინერგება. საზეინკლო და სადურგლო სახელოსნოში შრომის ნამდვილი ზეიმია.

ამას წინათ სკოლამ აქტიური მონაწილეობა მიიღო „თბილისის ზღვის“ ნაპირების გამწვანებაში. აქ უკვე დარგეს 100 ძირი ჰერამი. ამჟამად კი თბილისის განათლების განყოფილების № 1 ბავშვთა გამაჯანსაღებელი სახლისა და რკინიგზის მე-3 საბავშვო ბაგის ეზოებს ამწვანებენ.

იციან შრომის ფასი რკინიგზის მე-3 სკოლის მოსწავლეებმა.

მ. ინასარიძე.



ჩვენი ქარხანა და სკოლა

სწორედ საწარმოში, კოლმეურნეობაში უნდა შეიძინოს მოსწავლე ახალგაზრდობამ შრომითი ჩვევები. ამ მხრივ პირველი სერიოზული ნაბიჯი იქნა გადადგმული ჩვენთან, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში.

უკანასკნელ დროს უფრო მტკიცე კავშირი დამყარდა ჩვენს ქარხანასა და სკოლებს შორის. სასწავლებლებთან ახლო ურთიერთობა ქარხანას წინათაც ჰქონდა, მაგრამ ჩვენი კოლექტივის მუშაობა ამ მხრივ იმით ამოიწურებოდა, რომ შეფობას ვუწევდით სკოლებს, ვეხმარებოდით კაბინეტების, ლაბორატორიების, სასწავლო სახელოსნოების მოწყობაში, მოსწავლეები ექსკურსიებზე მოდიოდნენ ჩვენთან და სხვ. ახლა კი ისინი უკვე საწარმოში მოდიან არა როგორც ექსკურსანტები, არამედ როგორც ჩვენი საქმის მონაწილენი, მუშების გვერდით დგებიან ჩარხებთან, ეუფლებიან მანქანებს, სწავლობენ შრომას.

ამჟამად ქარხანაში მუშაობს და საწარმოო სწავლებას გადის მე-10, მე-12 და მე-14 სკოლების IX კლასების 74 მოსწავლე ვაჟი.

მოსწავლეთა საწარმოო სწავლება ჩვენთან დაიწყო მიმდინარე წლის იანვრიდან. დირექციამ იზრუნა შექმნა ახალგაზრდობისათვის შრომისა და სწავლის პირობები. საამქროში, სადაც ისინი მიამაგრეს სამუშაოდ, დაიდგა ახალი მანქანები და მოწყობილობა, მოსწავლეებს დაურიგეს სპეციალური სამუშაო ტანსაცმელი და ყველას მისცეს ტანსაცმლის შესანახი კარადა, გამოუყვეს ოთახები თეორიული მეცადინეობისათვის.

მოსწავლეთა თეორიულ მომზადებას საწარმოო საკითხებში ხელმძღვანელობენ გამოცდილი ინჟინრები, ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე პ. აბესაძე და ინჟინერ-ტექნოლოგი ტ. ჩხობაძე. თეორიული მეცადინეობა ეწყობა დღეგამოშვებით ორ-ორი საათით, აქ მოსწავლეები სწავლობენ ნახაზების შედგენას და მათს წაკითხვას, ეცნობიან ჩარხების კინემატიკურ სქემებს.

როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, სკოლის მოსწავლეთა საწარმოო სწავლება სასარგებლო საქმეა. ახალგაზრდებს ქარხანაში მუშაობა სრულიად არ უშლით ხელს სწავლაში. პირიქით, შრომაში ყალიბდება, მტკიცდება მათი ხასიათი, ისინი იზრდებიან შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

რა თქმა უნდა, როგორც ყოველ ახალ საქმეში, გზადაგზა გვხვდება დაბრკოლებები. ამასთან დაკავშირებით გვინდა წამოვაყენოთ რამდენიმე წინადადება, რომელთა განხორციელება, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება.

ამჟამად ახალგაზრდები ერთ კვირას სწავლობენ, ერთ კვირას ქარხანაში დადიან. უფრო მიზანშეწონილი იქნება მოსწავლეები ქარხანაში მოდიოდნენ დღეგამოშვებით, ე. ი. კვირაში სამი დღე სკოლაში იმეცადინონ და სამი დღე ქარხანაში იმუშაონ.

საჭიროა ქარხანაში ცალკე გამოიყოს საამქრო, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დამოუკიდებლად იმუშაონ პროდუქციის გამოშვებაზე, სრულყონ თავიანთი ოსტატობა. ამჟამად კი მათ ამის საშუალება არა აქვთ, რადგან მათ იმავე ჩარხებზე უხდებათ მუშაობა, რომლებზეც კადრის მუშები დგანან.

ამჟამად ჩვენთან მოსწავლეები მხოლოდ ხარატის პროფესიას ეუფლებიან. აუცილებელია გაფართოვდეს საწარმოო სწავლების პროფილი, რომ ახალგაზრდას თავისუფალი არჩევნის საშუალება ჰქონდეს.

ე. ვაჩეიშვილი,
კ. ტყეშელაძე,
მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ოსტატები.

გავარვარებულ ქურასთან

◆

ნარკვევი

◆

მჭედელი! როგორ ზარივით ჟღერს ეს სიტყვა. მასში რაღაც ლითონისებურ სიმტკიცეს ვგრძნობ და გულში ვიმეორებ, მჭედელი, მჭედელი-მეთქი! ვიმეორებ ამ რვალივით გაუტეხელ სიტყვას, და რატომღაც ჩემი სოფელი მაგონდება...

ვრცელი მინდვრის შუაგულში, ოდნავ შემაღლებულ ადგილას სამსაუკუნოვანი ცაცხვი დგას. მისი უზარმაზარი ტოტები ზაფხულის გვალვიან დღეებში მთელ სოფელს ყოფნის საჩრდილებლად. რამდენიმე კაცის მკლავები ერთად რომ გადაებას, მის ტანს მაინც ვერ შემოსწვდება.

ამ ვეებერთელა ხის ქვემოთ, მინდვრის ბოლოს ორ პატარა ცაცხვს განიერად გადაუშლია მხრები.

სწორედ იმ ორი ცაცხვის ახლოს, ქუჩის პირას, ქვის ყორეში ერთი სამჭედლოა ჩადგმული. მის წინ მიმოფანტულია შესაკეთებლად მოტანილი ურმის თვლები, რკინის ფარცხები, გუთნები და სათოხნი მანქანები.

ქურასთან იმ ცაცხვივით უზარმაზარი კაცი დგას და მთელი ძალღონით სცემს უროს გრდემლზე. მჭედელი მაღალი, განიერმხარბეჭიანი და გრძელმკლავებიანია. მისი ზორბა ტანი ანთებულ ქურას მთლიანად ფარავს.

ქურის უკან, საბერველთან სანდომიანი სახის მოხუცი იღიმის. მოხუცს გამეჩხერებული წვერი თეთრად უქათქათებს, სახე მთლიანად დანაოჭებული აქვს, ოდესღაც ჯიღა თვალები ახლა სულ დაპატარავებია, სადღაც სიღრმეში წასულა. მოხუცს, რომელსაც შალის დაგლეჯილი ჩოხა აცვია, გამხდარი, წვრილწვრილი ძარღვებით სულ მთლად დაქსელილი მკლავები საბერვლისათვის შემოუწვდენია და ისე ირწევა მთელი ტანით, რომ გეგონებათ გარმონს წელაისო.

სკოლიდან წამოსული სოფლის ბიჭები სამჭედლოს წინ შევდექით. გაოცებული ვუმზერთ კაპიტონს, ბაბუა ონისიმეს ვაჟს. მჭედელი ზურგით დგას, ჩვენ ვერ გვხედავს. ეს მდევივით კაცი სცემს და სცემს უროს და რკინას საოცარი გრიალი გააქვს.

ეს იყო წინათ.

სწორედ ბიძია კაპიტონი მომაგონდა ახლა, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროში რომ შევდგი ფეხი.

მაგრამ სადღაა ახლა იმ ტანადობის მჭედელი? აგერ, ერთტონიან ორთქლის უროსთან სულ პატარა ტანის კაცი ჩაცუცქულა, მარწუხში გახურებული რკინა მოუქცევია, ჰოპ, ჰოპ იძახის და თვითეულ მის დაძახილზე მანქანას მისი სიტყვა თითქოს ესმისო, ორთქლის ურო სცემს და სცემს რკინას.

მის დანახვაზე ბიძია კაპიტონი წარმომიდგა თვალწინ. რა ზორბა ტანის კაცია კაპიტონი! სად ის და სად ეს კაფანდარა, ჩია ტანის მჭედელი? სად ის სოფლის პატარა ქურა და სად ქარხნის ეს ვეებერთელა ქურა? მაშინ ჩემთვის რომ ვინმეს ეთქვა, ეს ახალგაზრდა ბიჭი მჭედელიაო, როგორ დავიჯერებდი? ასე მეგონა, მჭედელი უთუოდ კაპიტონივით გოლიათური შეხედულების და მისებრ ლომისებური ღონის კაცი უნდა ყოფილიყო, თორემ რკინას როგორ გამოჭედდა?

აგერ ახლა ამ უზარმაზარ ქურასთან სულ პატარა ტანის კაცი დგას, მერე რამოდენა რკინას ჩასჭიდებია!

ვფიქრობ, რამდენი გურამ ჭიქავა გამოიზრდება-მეთქი კაპიტონში! ვფიქრობ და ამ ფიქრებში მკაფიოდ მესმის გურამის ჰოპ, ჰოპ. მის დაძახილზე უროს გააქვს დგანდგარი, ცვივა ცეცხლმოკიდებული ნაპერწკლები.

განა ასეთ გრიალსა და ხმაურში შეიძლება რაიმეზე ფიქრი? მე კი მაინც ბიძია კაპიტონზე ვფიქრობ. კაპიტონი ახლა კოლმეურნეობის მჭედელია. სიბერეს რა ვუთხრა, თორემ განა გურამივით არ იბრძოლებდა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდების მოსაპოვებლად?

გურამს რომ ვუყურებ, ასე მგონია თითქოს ჩემთან ერთად კაპიტონიც იყოს და მასაც ისე უკვირდეს ვეებერთელა ორთქლის უროსთან ამ პატარა ბიჭის შებმა, როგორც მე. მაგრამ ტექნიკას თურმე ადამიანის აღნაგობა და მოყვანილობა კი არ განსაზღვრავს, არამედ სწავლა, ცოდნა, რომლითაც გურამს თავისუფლად შეუძლია დაიკვებნოს.

გურამ ჭიქავამ, ახალგაზრდა მჭედელმა, უკვე ისე გაითქვა სახელი, როგორც მისმა ოსტატებმა, მათ შორის გამოცდილმა და სახელმოხვეჭილმა მჭედელმა კონსტანტინე ილურიძემ.

დღენიადაგ უკვირდებოდა გურამი ილურიძის ოსტატობას, მის აზრიან შრომას, მის მიხვრა-მოხვრას და ნივთებთან დამოკიდებულებას და მასში თანდათან იწაფებოდა შეგირდი, იწრთობოდა ოსტატი, გროვდებოდა წყურვილი მჭედლის საამაყო პროფესიის საიდუმლოების ამოცნობისა. და როცა ამ საიდუმლოებას დაეუფლა გურამი, მიხვდა, რომ საქმე ღონე როდი იყო, არამედ ტექნიკა და ლითონის იმგვარად დამორჩილება, როგორადაც, ვთქვათ, გლეხი იმორჩილებს ძნელად გასატეხ ყამირს. გურამი იმასაც მიხვდა, რომ კაცს თუ თავისი ხელობა არ უყვარს, ისე ფუჭია მისი შრომა.

რაკი თავისი თავი დააჭერა ამაში, მერე მისთვის ყველაფრის ათვისება და დამორჩილება ადვილი გახდა, რაკი გული დაიყოლია ნება-ნება, ახლა ყველაფერი იოლად მოეჩვენა. გულისკარიც ფართოდ გაუღო თავის პროფესიას.

ხესაც კი თავისი ბიოგრაფია აქვსო, გაუგონია გურამს. ამ დაზგებს, ამ ანთებულ ქურებს, ამ საამქროს და ამ ქარხანას ხომ აქვთ და აქვთ თავისი ბიოგრაფია!

გურამსაც, ამ ჩია ტანის, მკაფიო გამომეტყველების ახალგაზრდას, თავისი ბიოგრაფია აქვს. მერე, რა ვუყოთ, რომ პატარაა ეს ბიოგრაფია?..

დაიბადა სოფელ ვახანში. ორი წლისას დედა მოუკვდა. თხუთმეტ წლამდე ბებია ზრდიდა სოფლად. ყანას თოხნიდა, ვაზს სხლავდა, საქონელს აბალახებდა. ოთხი კლასი დაამთავრა. შემდეგ ბიძამ ბორჯომში წაიყვანა და სახელოსნო სასწავლებელში მისცა. იქიდან ამ სახელოვან ქარხანაში მოხვდა. ქარხნიდან ჯარში გაიწვიეს. სამი წელი იქ დაჰყო. ისევ ამ საამქროს დაუბრუნდა. გამოცდილმა მუშებმა მას მჭედლის ხელობა შეასწავლეს. ახლა დამოუკიდებელი მჭედელია, კომუნისტური შრომის წოდების მოპოვებისათვის მებრძოლი ბრიგადის ხელმძღვანელია, საშუალო სკოლას ამთავრებს, უმაღლესში შესვლაზე ოცნებობს, შვიდწლიანი გეგმის ორნახევარ წელიწადში განაღდება იკისრა.

ეს არის და ეს, მეტი არაფერი!

ცხადია, პატარა ბიოგრაფიაა, მაგრამ ამ ბიოგრაფიის ყოველი წამი შრომით, გარჯით და საქმისადმი დიდი სიყვარულით არის გამსჭვალული.

ეს არის და ეს, მეტი არაფერი!

ყველაზე მნიშვნელოვან დღედ თავის შრომით ცხოვრებაში გურამ ჭიქავა იმ დღეს თვლის, როდესაც მის საამქროში კომუნისტური შრომის ბრიგადა შეიქმნა.

განა ხუმრობა საქმეა შვიდწლედი ხუთ წელიწადში შეასრულონ, ყოველთვიური საწარმოო დავალება ორასი პროცენტით გაანაღდონ, ცვლის ყოველდღიური დავალება შვიდ საათში მოითავონ, თვითღირებულება ოცდახუთმეტი პროცენტით შეამცირონ, დამატებით თითო პროფესია აითვისონ, ყველამ საშუალო სკოლა დაამთავროს და დაუსწრებლად უმაღლესი განათლება მიიღონ.

ასეთია მათი ვალდებულებები.

ჰო და ამისათვის იბრძვის ახლა გურამ ჭიქავა თავისი ბრიგადით.

მერე განა ბარაქიანი არ არის მისი შრომის შედეგი? ბრიგადამ ნაკისრი ვალდებულებები პირველ კვარტალში გადაჭარბებით გაანაღდა. პირადად მან სამასორმოცდაათი პროცენტით შეასრულა სამი თვის გეგმა.

რით აღწევს გურამი ასეთ წარმატებებს?

აი აქ, ამ საქმეში გამოადგა მას ძველი მუშებისა და მათ შორის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კონსტანტინე ილურიძის დიდი გამოცდილება. გურამი ილურიძისებურად წინასწარ ეცნობა დასამუშავებელი დეტალების ნახაზებსა და ესკიზებს. იმარაგებს ამისათვის შესაფერ ტვიფრებს და იარაღმოწყობილობას. წინადღით აწყობს ქურაში დეტალისათვის საჭირო მასალას, რომელიც საუზმემდე ჰყოფნის. შესვენებისას კიდევ ახალს ჩააწყობს, რაც სადამომდე ჰყოფნის. ყურადღებით სწავლობს ლითონის ტექნოლოგიას, იცის, დეტალს რომელი მხრიდან დაჰკრას ორთქლის ურო და რომელი მხრიდან არა. მისი ერთი რაციონალიზატორული წინადადება უკვე მიიღო ქარხნის ტექნიკურმა საბჭომ.

ორი თვეა, რაც გურამ ჭიქავა ახალგაზრდულ ბრიგადას ხელმძღვანელობს. სავსებით ახალი პერიოდი დაიწყო მის შრომით ცხოვრებაში, ახალი საზრუნავი გაუჩნდა მას. იქ მურმან ორმოცაძეს უნდა მიხედოს. ორმოცაძემ, ამ ოცდასამი წლის ჭაბუკმა, მეორე პროფესიაც აითვისა, ქანჩების კეთება შეისწავლა. გახედავს თუ არა ამ მაღალ-მაღალ, მკვირცხლ და მუდამ მოძრავ ახალგაზრდას, გურამს ხალისი ემატება. გამარჯვების რწმენა გულში უფრო ულვივდება. აქეთ გიორგი დვალს უნდა შეავლოს თვალი. გიორგი ლითონსაჭრელ ჩარხზე მუშაობს. მან მეორე პროფესია — „აირმჭრელობა“ აითვისა. იქეთ შაიდიჩ, მუსხელს და აქეთ კიდევ პალნინს უნდა მიაწვდინოს თავისი ხმა.

ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის დეპოების გარდა სად არ მიაქვთ გურამის ნაჭედი დეტალები — ერევანში, ბაქოში, როსტოვში თუ ჩრდილოეთ კავკასიის მთელი რიგი ქალაქების დეპოებში.

აი გურამი ანთებულ ქურასთან ტრიალებს, ორთქლის ერთტონიანი ურო სცემს და სცემს. ჰოპ, ჰოპ, იძახის ოფლში გაღვარული გურამი.

შეხედეთ, რა ღონივრად და სწრაფად ისვრის გურამი გაჭედილ დეტალებს შორს, როგორ ერთ წამში გამოაქვს ქურიდან ახალი დეტალი და რა სწრაფად აქცევს მას მარწუხებში.

ვუყურებ ამ კაფანდარა ახალგაზრდის გააფთრებულ ბრძოლას გავარვარებულ რკინასთან და ვფიქრობ: ნეტავ კაპიტონი ხედავდეს ახლა გურამ ჭიქავას! რას იტყოდა ბიძია კაპიტონი, სოფლის ძველი მჭედელი, უკვე სამოცდაათ წელს მიღწეული კაცი?

ვფიქრობ კაპიტონზე და თვალწინ მიდგას ანთებულ ქურასთან მარადად მომუშავე გურამი. გული სიამაყის გრძნობით მევსება, რომ მისი სახით ჩვენს ახალგაზრდობას სანაქებო წარმომადგენელი ჰყავს, ხოლო სტალინის სახელობის ამ ისტორიულ ქარხანას საუკეთესო მჭედელი, რომელიც შვიდწლიან გეგმას ორნახევარ წელიწადში შეასრულებს.

ჰოპ, ჰოპ, იძახის გურამი და ორთქლის ურო სცემს და სცემს გრდემლზე.

მჭედელი! როგორ ზარივით ჟღერს ეს რვალივით გაუტეხელი სიტყვა! მასში რაღაც ლითონისებურ სიმტკიცეს ვგრძნობ და გულში ვიმეორებ, მჭედელი, მჭედელი-მეთქი!

სიმონ წვერავა.

სურათზე: გურამ ჭიქავა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 89-ე წლისთავისათვის

ვ. ი. ლენინის ადრინდელი შრომების გავრცელება საქართველოში

ვ. ესიაშვილი

◆

საქართველოში ვ. ი. ლენინის ნაშრომების შემოტანასა და გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსიზმის პროპაგანდისა და საერთოდ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების მთელი იდეური და პრაქტიკულ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის.

ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომები, ისევე როგორც მთლიანად რუსეთისათვის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისთვისაც წარმოადგენდნენ არა მარტო თეორიულმეცნიერულ საგანძურს, არამედ მათი ყოველდღიური რევოლუციური საქმიანობის პრაქტიკულ სახელმძღვანელოს. აქედან აშკარაა, თუ რა დიდ ინტერესს წარმოადგენს საკითხი — როდის დაიწყო ვ. ი. ლენინის ნაშრომების გავრცელება საქართველოში.

სპეციალური შესწავლის საფუძველზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ვ. ი. ლენინის ნაშრომების შემოტანა და გავრცელება საქართველოში იწყება უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. ეს უდავოა, მაგრამ საინტერესო იყო გამორკვეულიყო, ვ. ი. ლენინის სახელდობრ რომელი ნაშრომი როდის იქნა შემოტანილი საქართველოში და რა გამოხმაურება ჰპოვეს მათ საქართველოს პრესაში.

გამოირკვა, რომ საქართველოში ყველაზე ადრე შემოსული უნდა იყოს ვ. ი. ლენინის ბროშურა „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ“, სტატია „ფრიდრიხ ენგელსი“ და პროკლამაცია „ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს“.

ვ. ი. ლენინის დასახელებული ბროშურა დაიბეჭდა 1895 წლის დეკემბერში და იგი საერთოდ შეიძლებოდა გავრცელებულიყო 1896 წლის დამდეგს. არსებობს მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ჟანდარმერიამ ეს ბროშურა საქართველოში აღმოაჩინა 1897 წელს, სოციალ-დემოკრატი მუშების გაჩხრეკის დროს. მაგრამ სხვა გარემოებანი და არაპირდაპირი მასალები გვაფიქრებინებენ, რომ ვ. ი. ლენინის ეს ბროშურა, რომელიც თავიდანვე უაღრესად პოპულარული გახდა და ფართოდ გავრცელდა მთელ რუსეთში, ცნობილი უნდა იყოს საქართველოში ჯერ კიდევ 1896 წლიდან.

ვ. ი. ლენინის სტატია-ნეკროლოგი „ფრიდრიხ ენგელსი“ დაიწერა 1895 წელს და ხელმოუწერლად გამოქვეყნდა 1896 წელს კრებულ „რაბოტნიკის“ № 1-2-ში. ამავე კრებულში გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის პროკლამაცია „ტორნტონის ფაბრიკის მუშებსა და მუშა-ქალებს“. ეს კრებული დაარსდა ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით და მას საზღვარგარეთ სცემდა „რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირი“. კრებული დიდი პოპულარობით სარგებლობდა საერთოდ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში და იგი ვრცელდებოდა საქართველოშიც. საგულისხმოა, რომ ამ კრებულის იმავე № 1-2-ში მოთავსებულია მასალები საქართველოს ცხოვრებიდან. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ამ კრებულის რედაქციასთან კავშირი ჰქონიათ საქართველოს მოღვაწეებს.

უტყუარი დოკუმენტებია იმის შესახებ, რომ ვ. ი. ლენინის დიდი ნაშრომი „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“, რომელიც 1895 წელს გამოიცა, მაგრამ ცენზურის მიერ მისი დაკავების გამო მხოლოდ 1896 წელს გავრცელდა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ცნობილი გახდა 1897 წლიდან. როგორც ცნობილია, კ. ტულინის (ლენინის) ეს ნაშრომი 1898 წელს წაიკითხა ი. ბ. სტალინმა და მისი ავტორის შესახებ განაცხადა: „რაც არ უნდა დაჯდეს უნდა ვნახო იგი“.

უფრო გვიან შემოტანილად ჩანს ვ. ი. ლენინის ნაშრომი „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“. არსებული მასალების მიხედვით საქართველოში ეს ნაშრომი 1898 წლამდე არა ჩანს, რაც ნაკლებ დასაჯერებელია, მაგრამ ჯერჯერობით სხვა სარწმუნო მასალა არ მოიძებნა. თუმცა მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ლენინის ამ ნაშრომის ცალკეული ნაწილები იბეჭდებოდა არალეგალურად, ჰექტოგრაფიული წესით, ზოგი 100, ზოგიც 50 ცალის რაოდენობით. ამ დროს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მხოლოდ იქმნებოდნენ, მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მჭიდრო და სისტემატური კავშირი პეტერბურგის ორგანიზაციებთან. ამ გარემოებისა და ნაშრომის ტირაჟის მეტისმეტი სიმცირის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში მისი მაშინვე გავრცელება ძნელი იქნებოდა.

საქართველოს პრესაში ვ. ი. ლენინის ნაშრომი პირველად მოხსენებულია 1897 წლის მაისში. თბილისში გამომავალ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 1897 წლის 16 მაისის ნომერში მოთავსებული იყო განცხადება ლეგალური მარქსისტების ჟურნალ „ნოვოე სლოვოს“ მარტ-აპრილის ნომრის გამოსვლის შესახებ და ჩამოთვლილი იყო მასში მოთავსებული სტატიები. ამ სტატიებს შორის დასახელებულია „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ ხელმოწერით „კ. ტ-ნი“. ეს მაშინ ვ. ი. ლენინის ფსევდონიმი იყო. აღნიშნული სტატია ვ. ი. ლენინმა ციმბირიდან გამოუგზავნა დასახელებულ ჟურნალს და მის ოთხ ნომერში გაგრძელებით იბეჭდებოდა. „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულია ცნობები სტატიის ამ გაგრძელებათა შესახებაც.

როგორც ამ, ისე სხვა მასალებითაც აშკარა გახდა, რომ ვ. ი. ლენინის სტატია „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ცნობილი იყო 1897 წელს.

1899 წლიდან ვ. ი. ლენინის ნაშრომებზე მითითება საქართველოს პრესაში ხშირად გვხვდება. ამავე დროს იწყება ვ. ი. ლენინის ნაშრომებზე რეცენზიებისა და ბიბლიოგრაფიული წერილების ბეჭდვა.

1899 წლის 27 მაისს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ მოთავსებულია წერილი „საყურადღებო შენიშვნები“, რომელიც ეხება სოფლად კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს. სტატიის ავტორი ჩამოთვლის მის მიერ განსახილველ საკითხებზე არსებულ ლიტერატურას და მათ შორის ასახელებს ვ. ი. ლენინის სტატიას „საბატონო მეურნეობის გამოდევნა კაპიტალისტური მეურნეობის მიერ რუსეთის თანამედროვე მიწათმოქმედებაში“. ეს სტატია წარმოადგენდა ვ. ი. ლენინის დიდი ნაშრომის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ მესამე თავის პირველ ექვს პარაგრაფს. იგი თავდაპირველად დაიბეჭდა სტატიის სახით ჟურნალ „ნაჩალოში“ 1899 წლის მარტში. სავსებით აშკარაა, რომ საქართველოში ვ. ი. ლენინის ეს ნაშრომი გაუცვნიათ „ნაჩალოში“ დაბეჭდილი სტატიის სახით. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგან ეს სტატია ლენინის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, როგორც ითქვა, შეადგენს წიგნის მესამე თავის ექვს პარაგრაფს და თვითეულ ამ პარაგრაფს თავისი, სხვაგვარი დასათაურება აქვს.

1898 წლის ოქტომბერში „ვლადიმერ ილინის“ ხელმოწერით გამოიცა ვ. ი. ლენინის შრომების კრებული საერთო სათაურით „ეკონომიური ეტიუდები და სტატიები“, რომელშიც მოთავსებული იყო შემდეგი შრომები და სტატიები: „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894-95 წელს და „შინამრეწველობის“ ზოგადი საკითხები“, „ნაროდნიკული პროჟექტერობის მარგალიტები“, „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ და „ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის“. ყველა ეს შრომები, გარდა ერთისა — „ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, საერთოდ პირველად დაიბეჭდა დასახელებულ კრებულში. მაშასადამე, მათი გაცნობა შეიძლებოდა მხოლოდ აღნიშნული კრებულის საშუალებით.

ვ. ი. ლენინის სტატიების ამ კრებულს იმდენად დიდი ინტერესი გამოუწვევია საქართველოში, რომ მის შესახებ ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტატიაც კი დაიბეჭდა თბილისში გამომავალ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“. ამ გაზეთის 1899 წლის 5 ივნისის ნომერში ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია წერილი სათაურით: „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894-1895 წელს (ილინის ეკონომიური ეტიუდები)“. წერილში, მართალია გარჩეულია მხოლოდ ერთი ნაშრომი „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში...“, მაგრამ რადგან ვ. ი. ლენინის ეს ნაწარმოები ცალკე არ გამოცემულა, იგი გამოქვეყნდა მხოლოდ კრებულში „ეკონომიური ეტიუდები და სტატიები“, რომელიც მითითებულია კიდეც რეცენზიის სათაურში. ამიტომ ცხადია, რომ ცნობილი იყო კრებულში მოთავსებული ლენინის დანარჩენი შრომებიც.

რეცენზიის ავტორი აცნობებს მკითხველებს, რომ ის მიზნად ისახავს განიხილოს კაპიტალიზმის განვითარების შედეგად რუსული სოფლის დაშლის პროცესი და აცხადებს: „ამ მიზნისათვის ბრწყინვალე მასალა ჩვენთვის იქნება ვლ. ილინის სტატია „შინამრეწველობის აღწერა პერმის გუბერნიაში 1894-95 წელს და „შინამრეწველობის“ ზოგადი საკითხები“. შემდეგ ავტორი ლენინის ამ შრომის მიხედვით აშუქებს სტატიაში განსახილველ საკითხს.

ამავე გაზეთში ერთი თვის შემდეგ, 6 ივლისს, დაიბეჭდა სტატია „საჟურნალო შენიშვნები“, რომელიც ეხებოდა მ. რატნერის შრომას „რუსეთის ეკონომიური ევოლუციის საკითხისათვის“. სტატიის დასაწყისშივე ავტორი იხსენიებს ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ თავისსავე წერილს და აღნიშნავს, რომ მასში განხილული იყო „შინამრეწველობის დაშლა, რომელზეც ჩვენ მივუთითეთ წინა ფელეტონში“ (ვ. ილინის „პერმის შინამრეწველობის აღწერა“).

1899 წელს საქართველოში ცნობილი ხდება ვ. ი. ლენინის ფუნდამენტალური გამოკვლევა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ვ. ი. ლენინის ამ წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში. მისი გამოსვლიდან სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, 1899 წლის 25 ივლისს, ქართულ გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა ვრცელი რეცენზია, რომელიც ამ დროს საქართველოში მომუშავე საკმაოდ განათლებული რუსი მარქსისტის ი. ლუზინის კალამს ეკუთვნის. ეს იყო საერთოდ პირველი რეცენზია ვ. ი. ლენინის დასახელებულ წიგნზე. რეცენზიაში, რომლის სათაურია „ვლადიმერ ილინი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი“, ხაზგასმულია წიგნის ღირსება და აღნიშნულია, რომ „ვლ. ილინის წიგნი შესანიშნავია თავისი ღრმა მეცნიერული,

ჩვენი
ქალაქების

იზრდება, ჰყვავის, მშვენდება...

უთუოდ დაკვირვებიხართ: დედა პირმშოს დღედაღამ თავს ევლება, სიარულს აჩვევს, ჩაცმა-დახურვას ასწავლის, ჯერ საბავშვო ბაღში მიჰყავს, მერე სკოლისაკენ მიაცილებს, წლებიც წლებს მისდევენ, და უცებ... სადღაა ბავშვი, შვილი დაკაცებულა, ულვაშები დაუმშვენებია, მხარ-ბეჭი გაუშლია. დედას კი უკვირს — ამხელა დევკაცი თუ გამოვზარდე, აქამდე როგორ ვერ მივხვდი, აკი ყოველდღე თვალით ვზომავდიო?!

ჩვენს დროში ასე ემართება ადამიანს: ან თვითონ აწყობ აგურს აგურზე, ან ქუჩაში გამოდიხარ და ხედავ — წუხელ აქა-იქ ქოხმახები აუღიათ და მოზრდილი ნაკვეთები შემოუღობავთ, დღეს ავტომანქანები გრუხუნებენ და ცემენტს, კირს, საშენ მასალებს ეზიდებიან. ხვალ ბულდოზერით მიწას ბდღვნიან და შენობას საძირკველს უყრიან. ზეგ კოშკურა ამწეებით სართული სართულზე აჰყავთ და უცებ... უყურებთ და გიკვირთ: თვალდახელშუა როგორ აიგეს ამ სიმაღლე სახლები, სახურავს რომ ახედო, ქუდი გადმოგივარდება.

დიახ, გიკვირს. თუმცა ყველაფერი ეს შენს თვალწინ ხდება. თანდათანობით შენდება და მშვენიერდება კვარტალი, ქუჩა, უბანი, დღითიდღე იცვლის სახეს მთელი ქალაქი!

მაგრამ გაკვირვება მაშინ იკითხე, ხუთ ან ათ წელიწადს სადმე შორს რომ დაჰყო და შენი ქალაქი მერე მოინახულო, ვერც კი იცნობ.

დღეს ვერ იცნობ ბათუმსაც, თუ უკანასკნელ წლებში იქ არ გიცხოვრია ან ხშირ-ხშირად არ მოგინახულებია.

რამდენიმე მრავალსართულიანმა სახლმა უკვე დაამშვენა ქალაქი, კიდევ რამდენია ხარაჩოებში და შენდება! მერე იცით, რა ლამაზია მარად მწვანე მცენარეებში ჩაფლული თეთრი სახლები ულრუბლო, ლაჟვარდოვანი ცისა და მდორედ გაშლილი ლურჯი ზღვის ფონზე?! თვალს ვერ მოაშორებ, ნამდვილი წალკოტია.

ეს წალკოტი კი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. აბა მანამდე რა იყო ბათუმი — ფარღალალა ქოხმახებიანი, დაჭაობებული, ჩაზნელებული, ატალახებული სოფელი. ყველას შეუძლია ჯინჯარაძის ქუჩაზე მუზეუმში შეიაროს და თავისი თვალით ნახოს მაშინდელი ბათუმის ჩანახატები კი არა, ნამდვილი ფოტოსურათები. ნახოს და შეადაროს. რევოლუციამდელი ბათუმი და დღევანდელი ბათუმი თითქოს ორი სხვადასხვა ქალაქია — ერთმანეთისაგან ისე განსხვავდებიან, როგორც დღე და ღამე, ცა და მიწა.

ახალგაზრდები კი, ალბათ, ორი-სამი ათეული წლის შემდეგ ჩვენს ნაამბობსაც ორაზროვანი ღიმილით შეხვდებიან: ისე სწრაფად მიდის წინ მეცნიერება და ტექნიკა, ისე სწრაფად იცვლის სახეს ქალაქი და სოფელი, რომ, ოღონდ მშვიდობა იყოს, და დღევანდელი უახლესი მიღწევა მაშინდელი განსაცვიფრებელი მიღწევის მხოლოდ „პაპა“ იქნება. საპლანეტათშორისო ნაოსნობის ხანაში ბულდოზერით ან სამ-ოთხ დაზგაზე შრომით ვიღას გააკვირვებ!

ახალ შვიდწლედში კიდევ უფრო გაიზრდება, აშენდება და დამშვენდება ბათუმიც — შავი ზღვისპირის ეს ნამდვილი თვალმარგალიტი.

დღეს ბათუმი — საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი — ქვეყანას აძლევს ინდუსტრიისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ნავთობპროდუქტებს, რთულ მანქანა-მოწყობილობას ჩაის, ღვინისა და საკონსერვო მრეწველობისათვის, კომფორტულ თბომავლებს, სწრაფმავალ გლისერებსა და კატერებს, ძვირფას სამკურნალო პრეპარატებს, მსუბუქი და კვების მრეწველობის მრავალნაირ პროდუქციას. ამჟამად მანქანა-მოწყობილობა მარკით „დამზადებულია ბათუმში“ იგზავნება არა მარტო ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის მრავალი ქალაქის სამრეწველო საწარმოებში, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთაც — დიდ ჩინეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამში...

ბათუმელი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული მოძმე ქალაქების — კიროვაკანის, ხერსონისა და სოხუმის მრეწველობის მუშაკებთან, გაორკეცებული ენერგიით შრომობენ მშობლიური პარტიის ოცდამეერთე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ახალი შვიდწლედის პირველი წლის დავალებათა სასახელოდ განაღდებისათვის, არ სჯერდებიან შარშანდელ მაჩვენებლებს, შარშან კი აჭარის მრეწველობამ საწარმოო პროგრამა ვადამდე შეასრულა და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია მისცა.

კვლავ სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, რომლის სახელოვან კოლექტივს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პრემია გადაეცა. მას მხარდამხარ მიჰყვებიან გემთსაშენი და მანქანათსაშენი ქარხნები, ნავსადგური, რკინიგზის კვანძი, ტყავის ქარხანა, ფეხსაცმლის, სამკერვალო და თამბაქოს ფაბრიკები, აჭარის ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მრავალი საწარმო. ყველა საამქროში და აგრეგატზე, ყველა უბანზე და ცვლაში მასობრივად გაჩაღდა ბრძოლა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოპოვებისათვის.

ასეა დღეს...

თვითეული ბათუმელის გულს კანონიერი სიამაყის გრძნობით ავსებს ახლო მომავლის დიდებული პერსპექტივები. თვალსაჩინოებისათვის თუნდაც რამდენიმე ციფრი დავასახელოთ:

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება აჭარაში შარშანდელთან შედარებით შვიდწლედის ბოლოსათვის გაიზრდება ასობით მილიონი მანეთით. ამაში, ცხადია, გადამწყვეტი ხვედრითი წონა ექნება ბათუმის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციას;

ბათუმში აიგება და ამუშავდება სამი ახალი ელექტროტექნიკური ქარხანა. მათი მშენებლობა უკვე დაიწყო. პირველ პროდუქციას ისინი წელსვე მოგვცემენ.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. შარშანდელთან შედარებით იგი შვიდწლედის ბოლოსათვის ნავთობის პირველად გადამუშავებას ორმოცდაათი პროცენტით გაადიდებს;

მანქანათსაშენ ქარხანაში ორნახევარჯერ და კიდევ მეტად გაიზრდება საერთო პროდუქციის გამოშვება;

ერთიორად მეტ საზღვაო გემს ააგებს გემთსაშენი ქარხანა. იგი გამოუშვებს აგრეთვე ახალი სახეობის სწრაფმავალ თბომავლებს;

გაფართოვდება და კეთილმოეწყობა ნავსადგური. გაისად დაიწყება ახალი საზღვაო სამგზავრო ვაგზლის მშენებლობა;

თითქმის ოთხჯერ გადიდდება კოფეინის წარმოება. ბევრად მეტ პროდუქციას მისცემენ ქვეყანას ტყავისა და ფანერის ქარხნები, ფეხსაცმლისა და სამკერვალო ფაბრიკები, ციტრუსკომბინატი და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სხვა საწარმოები.

შემდგომ ამაღლდება მოსახლეობის კეთილდღეობა, გაუმჯობესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით საბინაო მშენებლობას მოხმარდება სამოცზე მეტი მილიონი მანეთი. აშენდება მძლავრი წყალსადენი. დამთავრდება მეორე რიგის საკანალიზაციო სამუშაოები. ბათუმელთა ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ დაინერგება გაზი. ახალი ხეივნები მოემატება ბაღებსა და სკვერებს...

ამ და შვიდწლედის სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას უკვე ბეჯითად მოჰკიდეს ხელი ბათუმელმა მშრომელებმა. ძმურად, კარგი საათის მექანიზმივით, შეწყობილად მუშაობენ ქართველი და რუსი, უკრაინელი და სომეხი, აზერბაიჯანელი და ლიტველი, ბათუმში მცხოვრები სამოცდაათზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები.

ამ მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში დღითიდღე იზრდება, თვალწარმტაცად ჰყვავის და სულ უფრო მშვენდება ბათუმი — ხალხთა ნამდვილი ძმობის ქალაქი, ქალაქი — კურორტი, ქალაქი — ბაღი, საქართველოს ზღვისპირეთის თვალმარგალიტი.

კაპიტონ რუსიძე.

◆

ბათუმის მარკით

ვეებერთელა ხის ყუთებზე მკაფიოდ ჩანს წარწერა „ტირანა“.

— ეს ჩვენი ალბანელი მეგობრებისათვის არის, — ამბობენ ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მუშაკები.

ყუთებში ჩალაგებულია სტერილიზატორები ალბანეთის საკონსერვო მრეწველობის საწარმოებისათვის. ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის მარკიანი მანქანები შეიძლება ვნახოთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კვების მრეწველობის ბევრ საწარმოში. ახლა ქარხნის საამქროებში ალბანეთის კვების მრეწველობის ერთ-ერთი საწარმოსათვის მზადდება წვენსაწური მანქანა.

ბათუმი. ვ. ი. ლენინის სახელობის ქუჩა.
ფოტო ი. დვალისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლი

ჯავა. (საკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლის სცენაზეა ამავე სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი. ლამაზად ჩამწკრივებულან ოსურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები. ჯაველებს 100 კაცი გაუერთიანებიათ თვითმოქმედ ანსამბლში.

კონცერტს ხსნის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისაგან შემდგარი მოცეკვავეთა ჯგუფი. ისინი ხალისიანი მოძრაობით გამოხატავენ ხალხური ეპოსის ნართების გმირულ სახეს. ამ ცეკვას სცვლის ცნობილი ოსური მასობრივი ცეკვა „სიმდი“. გუნდი და ორკესტრი ასრულებენ ოსურ ხალხურ სიმღერას „ილიკო“. ცეკვას სიმღერა, ხოლო სიმღერას ცეკვა სცვლის და ასე საინტერესოდ, ცოცხლად მიმდინარეობს კულტურის სახლის თვითმოქმედი ანსამბლის ორსაათიანი კონცერტი.

საინტერესოა მისი შემადგენლობა. რომელი პროფესიის ადამიანს არ ნახავთ იქ. სოლისტები არიან მეტყევე ა. ფარასტაევი, პენსიონერი ვ. ბექანოვი, მასწავლებლები ა. ფარასტაევი და გ. სანაკოევი, კოლმეურნეები ა. ცხოვრებოვა და ნ. ცხოვრებოვა, დამლაგებელი დ. სანაკოევა, მოსწავლეები ნ. სანაკოევა და დ. ბითიევი და სხვები. ანსამბლს ეხმარება უხუცესი ოსი კომპოზიტორი ბ. გალაევი. კულტურის სახლის მხატვრული ხელმძღვანელია შ. თედეევი.

ჯავის კულტურის სახლის თვითმოქმედმა ანსამბლმა უკვე შემოიარა ოლქის რაიონები, თავისი თვითმოქმედება უჩვენა სტალინირელ მაყურებელს. მას ყველგან დიდი წარმატება ხვდა.

სიღნაღური ხალიჩები

სიღნაღი. (საკ. კორ.). საქართველოს სარეწაო საბჭოს არტელმა „საქართველოს ხალიჩამ“ სიღნაღში გახსნა ხალიჩის საქსოვი საამქრო. აქ ორმოცამდე ქალი მუშაობს. მათ შორის 27 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია.

ნელი ქემაშვილმა, ნუნუ ჩახნაშვილმა, ზაირა სპანდერაშვილმა და სხვებმა სწრაფად შეისწავლეს მრავალფერი ძვირფასი ხალიჩების ქსოვა. ამ საქმეში მათ დიდი დახმარება გაუწია საამქროს გამგემ თამარ ჩუთლაშვილმა, რომელიც ოც წელზე მეტია ქართული ხალიჩების ქსოვაზე მუშაობს.

საამქრომ უკვე მოქსოვა და დანიშნულებისამებრ გაგზავნა 44 ცალი ხალიჩა. სამაისო სოციალისტური შეჯიბრებით მქსოველებმა ვალდებულება იკისრეს პირველ მაისამდე კიდევ გამოუშვან 22 ხალიჩა, ამასთან გადაწყვიტეს, რომ სიღნაღური ხალიჩა ხარისხით საუკეთესო იყოს.

რამდენიმე სტრიქონით

◆

ახალი აბანო

თერჯოლა. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი აბანო. მას აქვს ორი საერთო განყოფილება და ოთხი სააბაზანო ნომერი. იგი ერთდროულად 22 კაცს ემსახურება. მიმდინარეობს აბანოს ეზოს კეთილმოწყობა-გამწვანება.

ავტოსატრანსპორტო კანტორა

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონის მოსახლეობისა და საწარმო-დაწესებულებების უკეთესი მომსახურებისათვის აქ შეიქმნა ავტოსატრანსპორტო კანტორა, რომელსაც გადაეცა 17 სატვირთო ავტომანქანა. მალე კანტორა კიდევ მიიღებს სატვირთო მსუბუქ ავტომანქანებს, აგრეთვე ტაქსებს.

გადამწყვეტი ეტაპი

◆

მელორი სტურუა

◆

მრავალი საუკუნის წინათ ქალაქ ელეაში — ბერძენთა კოლონიაში სამხრეთ იტალიის ნაპირებზე ცხოვრობდა და შემოქმედებას ეწეოდა ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი გამოჩენილი ფილოსოფოსი ზენონი. ეს ბრძენი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მოძრაობა არ არსებობს, რომ მოძრაობა — გრძნობითი მცდარობაა. ისტორიამ შთამომავლობისათვის შემოინახა ზენონის მსჯელობა მოძრაობის შესახებ — განთქმული აპორიები, რაც ბერძნულად ნიშნავს გამოსავლის უქონლობას, ჩიხს, დაუძლეველ სიძნელეს.

ერთ-ერთ აპორიას ეწოდება „აქილევსი და კუ“. მისი შინაარსი ასეთია. ფეხმარდი აქილევსი კუს უკან არის. სანამ ის გაირბენდეს მანძილს, რომელიც მათ ერთმანეთს აშორებს, ამტკიცებს ზენონი, კუ რამდენადმე წაიწევს წინ. სანამ აქილევსი ამ ახალ მანძილს გაირბენდეს, კუ კვლავ რამდენადმე წაიწევს წინ, და ასე უსასრულოდ. თუმცა მანძილი სულ უფრო შემცირდება, მაგრამ მთლიანად არ მოისპობა და, დაასკვნის ზენონი, აქილევსი ვერანაირად და ვერასოდეს ვერ დაეწევა კუს.

უნებურად გახსენდება ელეელი ბრძენის ეს აპორია, როცა თვალს ადევნებ იმას, თუ ჩვენს დროში დიპლომიანი ვაშინგტონელი ბრძენები როგორ ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სოციალიზმის სამყარო ვერასოდეს ვერ დაეწევა კაპიტალიზმის სამყაროს, რომ ფეხმარდი საბჭოთა აქილევსი მარად და ამაოდ იქნება ამერიკის კუს დევნაში.

ზენონი რომ ცდებოდა, ეს გასაგები და მისატევებელია. იმ დროს, როცა იგი თავის აპორიებს თხზავდა, არ ყოფილა არც კოსმოსური რაკეტები, არც შეფარდებითობის თეორია, არც გიგანტური დამჩქარებლები — სინქროფაზოტრონები, არც კომუნისტური შრომის ბრიგადები. აპორიების თანამედროვე ვაშინგტონელ მთხზველთა ცდომილებაც გასაგებია, მაგრამ სულაც არ არის მისატევებელი. იგი გასაგებია, რამდენადაც ასახავს გამოსავლის არარსებობას, ჩიხს, რომელშიც მოემწყვდა კაპიტალიზმის სამყარო. იგი გასაგებია, რამდენადაც ნაკარნახევია იმ ხომალდის კაპიტნების სოციალური დაკვეთით, რომელიც იძირება, მაგრამ იგი მიუტევებელია, რადგან შეგნებულად ამახინჯებს ჭეშმარიტებას, შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში ცალკეული ადამიანებიც და ადამიანთა მთელი საზოგადოებაც, თავს ახვევს მათ კუს ტემპებს ნაცვლად აქილევსის ტემპებისა, ამტკიცებს პირველთა პრიორიტეტს მეორეთა წინაშე, მარადიულ და ურყევ პრიორიტეტს.

მოხუცი ზენონის დროს საქმეა რომ ყოფილიყო ასეთი სიტყვა — კიბერნეტიკა. ზენონის ვაშინგტონელ მიმდევრებს კი თავიანთ განკარგულებაში აქვთ გიგანტური გამომთვლელი სასწაულებრივი მანქანები, რომლებსაც რამდენიმე წამში შეუძლიათ მოახდინონ ათასობით ყოველგვარი მათემატიკური ოპერაცია.

აიღონ ამ ბატონებმა და სთხოვონ ჭკვიან მანქანებს მოახდინონ მათთვის შემდეგი არართული ოპერაცია: საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო, სახავს სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიურ მატებას 8,6 პროცენტის ოდენობით. სამრეწველო წარმოება არც ამერიკის შეერთებულ შტატებში დგას ერთ ადგილზე, თუმცა ნელი ტემპებით მოძრაობს. უკანასკნელი წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უახლოეს პერიოდში სამრეწველო წარმოება ოკეანეს გაღმა ყოველწლიურად დაახლოებით ორი პროცენტით გაიზრდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა ჩვენ ამერიკას წინ ვუსწრებთ სამრეწველო პროდუქციის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახეების წლიური მატების აბსოლუტური ოდენობის მხრივაც, გამოდის, რომ საბჭოთა აქილევსი ამერიკის კუზე ოთხჯერ უფრო სწრაფად მიაბიჯებს.

და აი, თუ ჩვენს ანგარიშს დავამყარებთ არა ვაშინგტონელი ბრძნების პროპაგანდისტულ აპორიებზე, არამედ ციფრებსა და ფაქტებზე, აღმოჩნდება, რომ ხუთი წლის შემდეგ, ან იქნებ უფრო ადრეც, შვიდწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ საბჭოთა კავშირი დაეწევა და გაუსწრებს შეერთებულ შტატებს, გამოვა პირველ ადგილზე მსოფლიოში როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს იქნება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში საერთაშორისო ასპარეზზე.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთი ბურუსში იყო გახვეული და მას მხოლოდ ლენინის გენია და ხალხის მასების რევოლუციური ენთუზიაზმი აშუქებდა, როცა საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა იგერიებდა თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფოს მძაფრ შემოტევას, რომლებსაც შეტევითი კავშირი ჰქონდათ დადებული შიმშილთან და სიცივესთან, ნგრევასთან და სიღატაკესთან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოების ერთადერთი სახე იყო ისტორიის სუნთქვა და მომავლის რწმენა, კომუნისტების პარტიამ მტკიცედ იცოდა, რომ გარდუვალად დადგება კაპიტალიზმთან გადამწყვეტი ეკონომიური შეჯიბრების ეტაპი, და სოციალიზმი გამოაჩენს მთელ თავის ძალას.

ასეთი ეტაპის დადგომა გარდუვალი იყო, როგორც ღამის შემდეგ დღის, ხოლო ზამთრის შემდეგ გაზაფხულის დადგომა. და იგი დადგა. ეს მთელ მსოფლიოს ამცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მომავლის პარტიის XXI ყრილობამ, რომელმაც მიიღო გრანდიოზული პროგრამა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობისა ჩვენი პლანეტის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

ფრიად საგულისხმოა, რომ დასავლეთი სამყარო ერთბაშად მიხვდა, რომ საქმე ეხება სწორედ გადამწყვეტ ეტაპს. „საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, — წერს ბერძნული გაზეთი „ელეფთერია“, — პირველად წყდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გადამწყვეტი ვადა, ესე იგი კომუნისტური სისტემის მშენებლობის დამთავრების გადამწყვეტი ვადა“. ბელგიის გაზეთი „სუარიც“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პირველად არის ზუსტად განსაზღვრული კაპიტალიზმზე სოციალიზმის ეკონომიური გამარჯვების თარიღი, როცა საბჭოთა კავშირი გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ და ექნება მოსახლეობის ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე მსოფლიოში. ეს 1970 წლამდე მოხდება“.

ჩინურმა ჟურნალმა „ხუნციმ“, რაც „წითელ დროშას“ ნიშნავს, სკკპ XXI ყრილობას „კომუნიზმისათვის ლაშქრობის დაწყების სიგნალი“ უწოდა. ეს სიგნალი მთელ მსოფლიოში ამაყად გაისმა მოსკოვიდან, კრემლის დიდი სასახლის მაღალი ტრიბუნიდან. ამ სიგნალით მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და ყოვლისშემძლე დროშის ქვეშ იკრიბებიან კომუნიზმის მშენებელთა აურაცხელი არმიები, ჰომეროსის ეპოსის გმირ აქილევსზე უფრო ძლიერნი და ფეხმარდნი. წარმატებით გადაწყვიტეს რა თავიანთ სასარგებლოდ საკითხი „ვინ ვის?“ თავიანთი ქვეყნის საზღვრებში, ამჟამად ეს არმიები შეუდგნენ ამავე საკითხის გადაჭრას მსოფლიო მასშტაბით. მათი ლოზუნგია დაეწიონ და გაუსწრონ კაპიტალიზმის სამყაროს, მიუხედავად ყოველი სიძნელისა და დაბრკოლებისა, ვაშინგტონელ ბრძენთა აპორიები იქნება ეს თუ ვაშინგტონელ შეშლილთა წყალბადის ბომბები.

კომუნიზმისათვის ლაშქრობის სიგნალი სიხარულის სიმფონიად გაისმა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ქოხებში. მაგრამ მან გლოვის ზარივით დარეკა იმ ადამიანთა სასახლეებში, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იტყუებდნენ თავს ილუზიით, რომ თითქოს დრო დაიმორჩილეს. ამ სიგნალმა გაფანტა ილუზიები, და ბატონი კაპიტალისტები უეცრად მიხვდნენ, რომ მათ დაიმორჩილეს არა დრო, არამედ მხოლოდ კუ, რომლითაც, რამდენიც უნდა ამტკიცონ წინააღმდეგი ზენონმა და მისმა თანამედროვე მიმდევრებმა, შორს მაინც ვერ წახვალ. „საბჭოთა კავშირი, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, — სადაც არის დაგვეწევა. იგი მხოლოდ ერთიორი ნახტომით არის ჩვენს უკან — სულ რაღაც ათეული წლით ჩამოგვრჩება თავისი საწარმოო ძლიერების განვითარებაში“. მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის პროფესორი ვაზნერი თავის მხრივ აცხადებს: „როცა ნაღვლიანი განწყობილება მაქვს, ვფიქრობ, რომ რუსები ხუთი წლის შემდეგ გაგვისწრებენ ყველა დარგში. მაგრამ როცა ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მგონია, რომ ამისათვის მათ ათიოდე წელიწადი დასჭირდებათ“.

საგულისხმო აღიარებაა, რაც მართალია მართალია!

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა საბჭოთა ხუთწლედებს ბურჟუაზიული პროპაგანდა ბენგალიურ ცეცხლს ადარებდა. კომუნიზმის ჩირაღდნებმა, ეტყობა, საკმაოდ გაანათა და გაანათლა დასავლეთელ სკეპტიკოსთა თავი. ახლა ჩვენს შვიდწლედზე რომ ლაპარაკობენ, ისინი უფრო ფრთხილად ხმარობენ შედარებებს. აი, მაგალითად, რა შედარებას მიმართავს მსხვილი ბიზნესმენი და ამერიკის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ერიკ ჯონსტონი. „რუსებმა ცაში გაუშვეს რაკეტა, — აცხადებს იგი, — ამან მსოფლიო განაცვიფრა. ახლა ისინი უშვებენ სხვა რაკეტებს — ეკონომიურ რაკეტებს, რომლებმაც შეიძლება კიდევ უფრო მეტად განაცვიფროს მსოფლიო“. ინგლისური გაზეთის „დეილი ჰერალდის“ მიმომხილველი გუდმენი წერს: „ახლა არავის არ შეუძლია ეჭვი, რომ რუსები როდი ტრაბახობენ, როცა ამბობენ, რომ 1970 წლისათვის გაუსწრებენ ამერიკის სამრეწველო წარმოებას. განსაცვიფრებელი განცხადებაა. მაგრამ ჩვენ აღარ შეგვიძლია უგულებელვყოთ, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია. ახლოს, ჩემი აზრით, ის [illegible] რომელიც რუსების რაკეტამ მოგვცა“.

ეს თითქოს უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან. ჩვენი შვიდწლედი მართლაც შვიდსაფეხურიანი რაკეტაა, რომელიც უტყუარად გაიყვანს საბჭოთა კავშირს კომუნიზმის ორბიტაზე.

ორი სისტემის ისტორიულ შეჯიბრებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს წარმოების ზრდის ტემპები. ხოლო ტემპებში უპირატესობა სოციალისტური სისტემის მხარეზეა. ამაოდ ცდილობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები დაამტკიცონ, თითქოს გარკვეულ „ეტაპზე“ გარდუვალია საბჭოთა კავშირის სამრეწველო განვითარების ტემპების „ქრობა“, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ცდაა, რომ სოციალიზმზე მსჯელობისას ანალოგია გაავლონ კაპიტალისტურ ეკონომიკასთან, რომელსაც არ ძალუძს თავი დააღწიოს საკუთარ წინააღმდეგობებს.

მაგრამ საბჭოთა აქილევსი სწორედ იმით განსხვავდება ჰომეროსის გმირისაგან, რომ უბადლებული აქილევსის ქუსლი არა აქვს. მას არ ეშინია, რომ მისი წინსვლის ტემპები „ქრობას“ დაიწყებს. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ეს ტემპები სულ უფრო მეტად ჩქარდება — ილიჩის მინიატიურული ნათურებიდან ციკლოპურ ატომურ ელექტროსადგურებამდე. მაშინ, როცა კაპიტალისტურ ეკონომიკაში დაქვეითებაა, განათლებაში — დაცემა, ხოლო ხელოვნებაში — დაცემულობა, სოციალისტურ ეკონომიკასა და კულტურაში განუხრელი აღმავლობაა. სწორედ ამიტომ საბჭოთა აქილევსი არა მარტო დაეწევა ამერიკულ კუს, არამედ გარკვეულ „ასაქცევზე“ გაუსწრებს მას, წინ გასწევს და შორს მოიტოვებს უკან.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა მიღწევებმა, რომლებმაც თავიანთი ჭეშმარიტად სიმბოლური განსახიერება ჰპოვეს დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრებითა და პირველი კოსმოსური რაკეტით, საბოლოოდ გაუცრუეს იმედი „ცხოვრების ამერიკული წესის“ ტრუბადურებს. შექსპირის მეფე ჯონის მსგავსად ისინი კითხულობენ: „რით დაათვრეს ჩვენი დაზვერვა? რით დააძინეს იგი“.

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ამერიკის დაზვერვას თანამგზავრები და რაკეტები გამოეპარა, რომ ამერიკელი ბოსები თვითკმაყოფილებამ და საკუთარი უცოდველობის გრძნობამ მიაძინა. მიზეზები გაცილებით უფრო ღრმაა. ეს მიზეზებია სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალიზმის სისტემის წინაშე. მათი შეჯიბრება არ შეიძლება განვიხილოთ დროისა და სივრცის გარეშე, როგორც ამას ზენონი სჩადიოდა თავის აპორიებში.

და ეს ახლა თანდათან უფრო ესმით დასავლეთის ყველაზე საღად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ლიდერის ედლაი სტივენსონის სტატია, რომელიც ჟურნალ „ნიუ-იორკ ტაიმს მეგეზინში“ გამოქვეყნდა. იგი დამახასიათებელია უკვე სათაურით, რომელიც ასეთია: „ამჯერად ჩვენ შეიძლება გაგვისწრონ“. სტივენსონი იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა კავშირი გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს არა ისეთი რაღაც მითური მიზეზებით, როგორიც არის ძირგამომთხრელი საქმიანობა ოპერეტული ჟვაზაკებისა, რომლებსაც „კომინფორმის ჯაშუშებს“ უწოდებენ და რომლებიც უდარდელ ამერიკელებს თითქოს მათ ტექნიკურ საიდუმლოებებს ჰპარავენ, არამედ კაპიტალიზმის წინაშე სოციალიზმის ორგანულ უპირატესობათა გამო. „ჩვენ მეტ ფულს ვხარჯავთ რეკლამაზე და არა განათლებაზე, — წერს სტივენსონი, — თამბაქოზე და არა წიგნებზე, გართობაზე და არა ქალაქების კეთილმოწყობაზე. მე ვფიქრობ, განაგრძობს იგი, — რომ უახლოესი ათი წელიწადი ნამდვილად დაგვანახვებს, შეძლებს თუ არა ჩვენი ქვეყანა ან ასეთივე მიდრეკილების და მიზნების მქონე ყოველი სხვა ქვეყანა დიდხანს იარსებოს. ყოველ შემთხვევაში ამჟამად პროგნოზი არახელსაყრელია... ჩემი დასკვნა ის არის, რომ ჩვენს რუს მეტოქეებს გაცილებით მეტი სიმტკიცე აქვთ, ვიდრე ჩვენს უმრავლესობას ეგონა, და რომ ამჯერად ჩვენ შეიძლება გვაჯობონ, თუ არ გამოვიჩინეთ მზადყოფნა შევცვალოთ ჩვენი ჩვევები, ჩვენი პოლიტიკური ქცევა და ჩვენი თვითკმაყოფილი შეხედულება მსოფლიოზე“. მაგრამ, მოითმინეთ, ბატონო სტივენსონ, თუ თქვენ ყოველივე ეს შეცვალეთ, კაპიტალიზმი ხომ კაპიტალიზმი აღარ იქნება, ესე იგი თქვენ მაინც გაჯობებენ. სწორედ ეს იქნება სოციალიზმის გამარჯვება მშვიდობიან შეჯიბრებაში!

ამრიგად, შეჯიბრების გადამწყვეტი ეტაპი დადგა. მას სტარტი მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ. ისტორიამ თავისი წამზომი აამუშავა. შორს აღარ არის ის დღე, როცა აღტაცებული და მადლიერი კაცობრიობა სანუკვარ ფინიშთან მიესალმება გამარჯვებულს — სოციალისტურ აქილევსს, რომელიც შორს მოიტოვებს უკან კაპიტალისტურ კუს.

ობიექტური გამოკვლევებით“. სტატიაში ნაჩვენებია რუსეთის კაპიტალიზმის პროგრესული მნიშვნელობა ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარებისათვის და იგი მთავრდება მკითხველებისადმი მოწოდებით — შეისწავლონ ეს წიგნი.

ვ. ი. ლენინის ამ წიგნს დიდი ინტერესით კითხულობდნენ და სწავლობდნენ. რსდმპ თბილისის კომიტეტმა მოაწყო მისი შესწავლა მუშათა წრეებში. ძველი მუშა რევოლუციონერი ვ. სტურუა 1924 წელს გამოქვეყნებულ მოგონებაში წერდა: „1899 წელს, როცა მე ვმუშაობდი ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში თბილისში, მომიხდა წამეკითხა წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, რომლის ყდაზე იყო ავტორის გვარი — ილინი. ეს წიგნი მე წავიკითხე ზერელედ და ძალიან ცოტა რამ გავიგე.

მაგრამ პირველ ს.-დ. წრეში, რომლის წევრიც მე ვიყავი, ჩვენ გვირჩიეს საფუძვლიანად შეგვესწავლა ეს წიგნი და მიგვითითეს, რომ „ილინის“ ფსევდონიმით წერს ლენინი. წიგნი საფუძვლიანად წავიკითხე, ხოლო შემდეგ მე უკვე მიხდებოდა საკმაოდ ხშირად მეკითხა ამხ. ლენინის ზოგიერთი ნარკვევი, აგრეთვე მისი სტატიები ძველ „ისკრაში“.

ამრიგად, 1897-1898 წლებში სოციალ-დემოკრატი მუშები და ინტელიგენცია გატაცებით სწავლობდნენ ვ. ი. ლენინის ნაშრომებს და ეწეოდნენ მათს პროპაგანდას პრესის საშუალებით. 1899-1900 წლებში ილინის, ტულინის ფსევდონიმებით ლენინის ნაწერებს უკვე სისტემატურად ვხვდებით საქართველოს პრესის ფურცლებზე. გარდა ზემოთ დასახელებული სტატიებისა, მითითებას ილინზე როგორც კაპიტალიზმის განვითარების მკვლევარზე, მის შეხედულებათა სისწორის აღნიშვნით ვხვდებით აგრეთვე ჟურნალ „მოამბის“ 1900 წლის ნომრებში. ვ. ილინი მოხსენებულია აგრეთვე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1901 წლის 24 იანვრის ნომერში.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: 1901 წლის დამლევამდე ვ. ი. ლენინის სტატიები და შრომები ქვეყნდებოდა ფსევდონიმებით: „კ. ტ-ნი“, „კ. ტულინი“, „ვ. ილინი“ ან „ვლადიმერ ილინი“. 1901 წლის დეკემბრიდან ვლადიმერ ილიას-ძე თავისი შრომების ხელმოწერას იწყებს სახელით — ლენინი. „ვ. ლენინის“ ხელმოწერით პირველად ჟურნალ „ზარიაში“ დაიბეჭდა დასაწყისი სტატიისა — „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“. ამავე ხელმოწერით გამოქვეყნდა 1902 წლის მარტში სახელგანთქმული ნაშრომი „რა ვაკეთოთ?“.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ითქვას, რომ პირველ ხანებში, ისევე როგორც სხვაგან, საქართველოშიც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ფართო წრეებში სცოდნოდათ, რომ აღნიშნული ფსევდონიმებით გამოსულ ნაშრომთა ავტორი ვ. ი. ლენინი იყო. ვლადიმერ ილიას-ძის ფსევდონიმების ცოდნა საქართველოში უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება. შეიძლება ითქვას, რომ „ვლადიმერ ილინი“, „კ. ტულინი“ რომ ვ. ულიანოვი იყო — ეს საქართველოს ინტელიგენტმა და მოწინავე მუშა სოციალ-დემოკრატებმა არალეგალური გზებით იცოდნენ მხოლოდ 1898 წლიდან. თუმცა ამა თუ იმ ცალკე პიროვნებამ, განსაკუთრებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მომუშავე ქართველმა რევოლუციონერებმა, ან ლენინთან მომუშავე და შემდეგ საქართველოში ჩამოსულმა სოციალ-დემოკრატებმა იცოდნენ ვ. ი. ლენინის კონსპირაციული სახელები. ასეთები, რა თქმა უნდა, იყვნენ, მაგრამ აქ ლაპარაკია არა ამაზე, არამედ იმის შესახებ, თუ როდის გახდა ცნობილი ვ. ი. ლენინის ნაშრომები და მისი სახელი საქართველოს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და საქართველოს პუბლიცისტიკაში.

ვ. ი. ლენინის ნაშრომები საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტად და ფართოდ ვრცელდებოდა და მისი სახელი სულ უფრო პოპულარული ხდებოდა.

1901 წლიდან იწყება ვ. ი. ლენინთან საქართველოს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების მიმოწერა და, მაშასადამე, მჭიდრო და სისტემატური კავშირი, ხოლო უკვე 1903 წლიდან ვ. ი. ლენინის ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნა. ამის შემდეგ თვით რევოლუციამდელ პერიოდში ვ. ი. ლენინის ბევრი ნაშრომი ხელმისაწვდომი იყო ქართველი მკითხველისათვის. რა თქმა უნდა, ლენინის შრომები ქართულ ენაზე იბეჭდებოდა არალეგალურად, კონსპირაციულად. მიუხედავად მკაცრი რეპრესიებისა, ქართველი ბოლშევიკები განსაკუთრებული ინტერესითა და გატაცებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ლენინის გენიალურ ნაშრომებს, ეწეოდნენ მათს პროპაგანდას.

ვ. ი. ლენინის შრომების პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ი. ბ. სტალინმა. იგი თავიდანვე განიმსჭვალა ლენინის საქმისადმი ერთგულების რწმენით და თავის შრომებში და მთელ პრაქტიკულ მოღვაწეობაში თანმიმდევრულად იცავდა და ავრცელებდა ლენინის გენიალურ იდეებს.

კინოჟურნალი «საბჭოთა საქართველო» № 10

ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ გამოუშვა კინოჟურნალ საბჭოთა საქართველოს მორიგი, მეათე ნომერი.

ჟურნალის პირველი კადრები მოგვითხრობენ ერაყის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის თბილისში ჩამოსვლისა და იმ გულთბილი შეხვედრის შესახებ, რომელიც თბილისელებმა მოუწყეს სტუმრებს.

ეკრანზე მოჩანს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქრო. დაზგებს შორის ახალგაზრდა მუშები და მოსწავლეები ფუსფუსებენ. ეს — ნოდარ ნიკოლაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები ეხმარებიან ნორჩებს ხარატისა და მღარავის პროფესიების ათვისებაში.

ამას წინათ მოსკოვში მოეწყო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო გამოკვლევებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და საშუალებების საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც ნაჩვენები იყო ექსპონატები საქართველოდანაც, მათ შორის აკადემიკოს გ. ზხვაცაბაიას კონსტრუქციის ენერგეტიკული ურიკა. კინოჟურნალის მომდევნო სიუჟეტი ამ გამოფენის შესახებ მოგვითხრობს.

შემდეგ მაყურებელი ხედავს გაზაფხულის ყვავილებში ჩაფლულ თბილისს. კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა მინდვრად გამოიტანეს ახალი სათესი მანქანა, რომელიც ბოსტნეულს სარეველასაგან დამცველი ლენტით თესავს.

კინოოპერატორმა აფსკზე აღბეჭდა აგრეთვე ცხოველთა წვრთნისა და სიცილის ოსტატი იური დუროვი ოთხფეხა მეგობრებთან ერთად.

დასასრულ ნაჩვენებია ახალგაზრდული საესტრადო ორკესტრი, რომელიც ახლახან შეიქმნა ბ. კვერნაძისა და კ. პევზნერის ხელმძღვანელობით. ორკესტრი ემზადება ახალგაზრდობის მსოფლიო VII ფესტივალისათვის.

კინოჟურნალის რეჟისორია ვ. გახოკიძე, ოპერატორები — ნ. ნაგორნი, თ. დეკანოსიძე, ლ. არზუმანოვი, ზ. მაჩაიძე, ა. პოლოსოვი, ა. ხემიონოვი.

მ. კობახიძე.

* * *

სურათზე: კადრები კინოჟურნალიდან.

ყოველი მხრიდან

ჩინეთი იმარჯვებს სოციალიზმის გზაზე

ტიბეტის ისტორიაში ახალი ფურცელი დაიწყო

ამერიკული რაკეტა „ატლასის" მესამე მარცხი

ომანელი პატრიოტების გმირული ბრძოლა

ჯოუ ენ-ლაისა და პანჩენ-ერტნის გამოსვლა

პეკინი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გამოვიდა რა პანჩენ-ერტნის — სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატისა და ტიბეტის ავტონომიური რაიონის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა: დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ცენტრალური სახალხო მთავრობისა და თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით, ტიბეტის სხვადასხვა რაიონში სამხედრო კონტროლის კომიტეტების დახმარებით ტიბეტის ავტონომიური რაიონის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტი მთლიანად შეასრულებს თავის ამოცანებს, რათა რაც შეიძლება მალე განახორციელოს ტიბეტში ეროვნული რაიონული ავტონომია. პანჩენ-ერტნიმ, ჰაბალა ჯოლენამჯიმ, ნგაბუნგავან ჯიგმიმ, სონპუო ცეონქენცენმა, ჯანტუნ ზენდინიმიმ და ტიბეტის ავტონომიური რაიონის შექმნის მოსამზადებელი კომიტეტის ზოგიერთმა სხვა წევრმა, სავსებით უჭერენ რა მხარს ცენტრალურ ხელისუფალთ და მტკიცედ იცავენ რა სამშობლოს ერთიანობასა და ეროვნულ შეკავშირებას, დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთეს ტიბეტელი ხალხისათვის. ახლა, აღნიშნა ჯოუ ენ-ლაიმ, როცა სიხარულით ვხვდებით ერთად, მეამბოხეთა მიერ მოტაცებული და უცხოეთში წაყვანილი დალაი-ლამა, როგორც შეიძლება დავინახოთ მისი სამი წერილისაგან, რომლებიც ტიბეტში ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელს ტან გუან-სანს გამოუგზავნა, გამსჭვალულია სულიერი შეშფოთებით. ჩვენ, ისე როგორც მთელი ტიბეტელი ხალხი, ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებთ მას.

ტიბეტის ერთი მუჭა რეაქციული ელემენტები, განაგრძო ჯოუ ენ-ლაიმ, უღალატა რა სამშობლოს და შეუთანხმდა რა იმპერიალიზმს, სავსებით დაარღვია რა ტიბეტის 1200-ათასიანი მოსახლეობის ინტერესები და მთელი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის ინტერესები, ამაოდ ცდილობდნენ გამოეწვიათ გათიშვა ჩვენს ქვეყანაში. ისინი ანგარიშში მოტყუვდნენ. პირიქით, მათმა საქმიანობამ გამოიწვია სამშობლოს ერთობის ხანელი და ტიბეტელი ხალხების სოლიდარობის განმტკიცება და ტიბეტელი ხალხის ახალი ცხოვრების დაწყება. ამჟამად ტიბეტის პატრიოტული სამღვდელოებისა და სამოქალაქო მოსახლეობის აქტიური დახმარებით ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა ძირითადად მოახდინეს ამბოხების ლიკვიდაცია.

ტიბეტის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, აღნიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა, მოითხოვს განთავისუფლებას სასტიკი და შავბნელი ბატონყმური წყობილებისაგან. ტიბეტის მოსახლეობის ზედა და საშუალო ფენების ბევრი პროგრესული მოღვაწე, რომელთაც ღრმად ესმით სამართლიანობა და სიმართლე, მოითხოვენ თანდათანობით გარდაიქმნას უსამართლო საზოგადოებრივი წყობილება დემოკრატიის პრინციპებზე. ცენტრალური სახალხო მთავრობა, ემყარება რა ხალხთა სოლიდარობის ინტერესებს და ტიბეტში გარდაქმნის განხორციელების დარგში ტიბეტის რაიონის განსაკუთრებული მდგომარეობის შესაბამისად, თანამიმდევრულად ადგა რეფორმების შენელებული განხორციელებისა და მოთმინებითი ლოდინის კურსს. მაგრამ ტიბეტის შუბლმაგარმა რეაქციულმა ელემენტებმა თავი დასაღუპავად განიმზადეს და აირჩიეს ტიბეტელი ხალხისა და სამშობლოს ღალატის გზა. აირჩიეს რა დაღუპვა, მათ ფაქტიურად შექმნეს ტიბეტის დემოკრატიზაციის უაღრესად ხელხაყრელი პირობები. დარწმუნებული ვართ, ხაზგასმით აღნიშნა დასასრულ ჯოუ ენ-ლაიმ, რომ ახლა ტიბეტელი ხალხი თანდათანობით განთავისუფლდება სიღატაკისაგან, ჩამორჩენილობისა და უმეცრებისაგან და დაადგება აყვავებისა და ბედნიერების ნათელ გზას.

პანჩენ-ერტნიმ დარბაზობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ტიბეტელი ხალხის სახელით გამოთქვა გულითადი მადლობა თავმჯდომარე მაო ძე-დუნისა და ცენტრალური სახალხო მთავრობის ზრუნვისათვის. პეკინისაკენ მომავალნი, თქვა მან, ჩვენ კვლავ დიდად გაგვახარა უსაზღვრო სითბომ, დარაზმულობამ, ურთიერთდახმარებამ და სიყვარულმა ჩვენი სამშობლოს დიდ ოჯახში.

ტიბეტის ისტორიაში, განაცხადა პანჩენ-ერტნიმ, ახალი ფურცელი დაიწყო. ტიბეტელი ხალხი მიესალმება ჩინეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის დიდ გამარჯვებას. დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით და ჩინეთის 650-მილიონიანი ხალხის უდიდესი დახმარებითა და მხარდაჭერით ტიბეტელი ხალხი სავსებით მოსპობს სიღატაკეს და ჩამორჩენილობას და ჩინეთის მთელ ხალხთან ერთად ივლის წინ აყვავებული, ბედნიერი სოციალისტური საზოგადოებისაკენ.

ტიბეტელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს სახელმწიფო საბჭოს ბრძანებას ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის დაშლისა და ამბოხების ლიკვიდაციის შესახებ და სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად განაგრძობს ტიბეტის სხვა რაიონებში მეამბოხეთა ნაშთების მოსპობას.

აღნიშნა რა ტიბეტელი ხალხის წარმატება მისი მშვიდობიანი განთავისუფლების შემდეგ, პანჩენ-ერტნიმ განაცხადა, რომ ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩინეთის დიადი კომუნისტური პარტია და სახალხო-განმათავისუფლებელი არმია სარგებლობენ ტიბეტელი ხალხის უდიდესი მხარდაჭერით და პატივისცემით.

პანჩენ-ერტნიმ დაგმო ტიბეტის ყოფილი ადგილობრივი მთავრობის გოლუნები და რეაქციული ზედაფენის ხროვა, რომლებიც შეუთანხმდნენ იმპერიალისტებს, ჩანკაიშელთა ხროვას, საშინაო და საგარეო რეაქციონერებს, დაადგნენ სამშობლოს აშკარა ღალატის გზას და მოიტაცეს დალაი-ლამა. ამ მგლებმა, რომლებმაც ჩამოიფარეს სამღვდელოების ანაფორებით გამოწყობილი „ეროვნული ინტერესების დამცველთა" ნიღაბი, თქვა პანჩენ-ერტნიმ, უღალატეს სამშობლოს, ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ერთიანობისა და ეროვნული დარაზმულობისათვის, მიმართავდნენ ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ძარცვასა და ყაჩაღობას. ეს გამცემნი აღმოჩნდნენ ერისა და რელიგიის ნაძირალები და ტიბეტელი ხალხისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა საერთო მტრები. მათი ღალატი, მათი დანაშაულობანი მკაცრად დაგმო ხალხმა. იმპერიალისტებისა და საგარეო რეაქციონერების შეთქმულება მხილებული და ჩაფუშულია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო თათბირის სხდომაზე

პეკინი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 15 აპრილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მოიწვია უმაღლესი სახელმწიფო თათბირის მე-16 გაფართოებული სხდომა.

სხდომას დაესწრნენ სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის, დემოკრატიული პარტიებისა და ჯგუფების, სახალხო ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის ცნობილი წარმომადგენელნი — სულ 106 კაცი.

სხდომაზე მოხდა აზრთა გაზიარება სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესიისა და ჩინეთის მესამე მოწვევის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის პირველი სესიის დღის წესრიგისა და პრეზიდიუმის შემადგენლობის საკითხებზე. სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთა პოსტებზე კანდიდატურების სიის შესახებ, რომელიც წამოყენებულ იქნება სრულიად ჩინეთის მეორე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე და საკითხი ჩინეთის მესამე მოწვევის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის ხელმძღვანელ მუშაკთა პოსტებზე კანდიდატურების სიის შესახებ, რომელიც წამოყენებულ იქნება ჩინეთის მესამე მოწვევის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სრულიად ჩინეთის კომიტეტის პირველ სესიაზე.

სხდომაზე გამოვიდა თავმჯდომარე მაო ძე-დუნი. თავის გამოსვლაში იგი შეეხო საერთაშორისო ვითარებასა და საშინაო მდგომარეობას, აგრეთვე ტიბეტის საკითხს.

ამერიკელი ადმირალის საომარი განცხადება

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ ფენიქსიდან (არიზონის შტატი) იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი ადმირალი ა. ბერკი, გამოვიდა რა გამომცემელთა ყრილობაზე, კვეხნით ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მოსპონ საბჭოთა კავშირი საყოველთაო ომში.

აქვე ბერკი ამტკიცებდა, რომ ომი თითქოს „შეიძლება თავს მოგვახვიონ ჩვენ (ე. ი. ამერიკის შეერთებულ შტატებს — რედ.) ყოველ დროს. ბევრი სიტუაცია სხვადასხვა რაიონში შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაბად. ბერლინი ერთი მათგანია, იქნება სხვებიც".

სამხედრო ხროვის საომარი გამოსვლების წინააღმდეგ

ბონი, 15 აპრილი. (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „ფორვერტსი" აქვეყნებს ცნობილი დასავლეთგერმანელი პუბლიცისტის ჰელმუტ ლინდემანის სტატიას, რომელშიც იგი მკაცრად აკრიტიკებს ამერიკელი გენერლების ნორსტედისა და ტეილორის საომარ გამოსვლებს, რომელთა მიზანია ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

თანამგზავრ „დისკავერერ-11" გაშვების გამო ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ მთავრობის კოსმოსურ პრობლემათა ექსპერტებმა უარი თქვეს იმის ცდაზე, რომ უკან დააბრუნონ კაფსული თანამგზავრ „დისკავერერ-11-დან".

უახლესი კოსმოსური კვლევის სამმართველომ განაცხადა, რომ როგორც ამ თანამგზავრიდან მიღებულმა ცნობებმა ცხადყვეს, კაფსულის დაბრუნების განზრახვა განუხორციელებელი რამ არის.

ამერიკის რაკეტა „ატლასის" წარუმატებელი გაშვება

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, გუშინ კანავერალის კონცხის (ფლორიდის შტატი) საცდელ პოლიგონზე სცადეს გაეშვათ უკანასკნელი ნიმუშის საკონტინენტთაშორისო რაკეტა „ატლასი". რაკეტა კონტროლს არ დაემორჩილა და გაშვების შემდეგ რამდენიმე წამში აფეთქდა.

ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს არის „ატლასის" ზედიზედ მესამე მარცხი.

ნიუ-იორკის გამოფენისათვის

ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენისათვის მოსკოვში გაიგზავნა საქართველოს მხატვრულ ხელობათა ოსტატების ნაკეთობათა საუკეთესო ნიმუშები. მათ შორის არის ხელმარჯვე მ. ქუთათელაძის მიერ გაკეთებული ვერცხლის სამაჯური და სალამური.

ჯერ კიდევ ბავშვობაში იგი საათობით იჯდა მაგიდასთან და მთელ თავის ფანტაზიას უცნაური ორნამენტების გამოყვანას ახმარდა. შემდეგ თბილისის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელში იგი გატაცებით შეუდგა კვერვის ხელოვნების შესწავლას, რომლის სრულყოფაში მას ეხმარებოდა ქართველ მკვერავთა შესანიშნავი ტრადიციების განმგრძობი, გრავიურის ოსტატი გ. ი. ხანდამაშვილი.

...თბილისის სარეწაო კოოპერაციის არტელ „მხატვრის" ერთ-ერთ საამქროში დაზგას უზის მ. ქუთათელაძე. ბასრი საჭრეთელით მას ოსტატურად გამოჰყავს რთული სახეები, ვერცხლის მაქმანი, ლამაზი ორნამენტები. აი მის მიერ გაკეთებული მხატვრული ვაზები, ორიგინალური ფიალა, ვერცხლის სამაჯურები, ყანწები. მ. ქუთათელაძის ნაკეთობანი ექსპონირებული იყო საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე ბრიუსელში, ლაიპციგში, იზმირში, ვენაში, დამასკოში, ოსაკაში.

სურათზე: მ. ქუთათელაძე მუშაობის დროს.
ფოტო ი. დვალისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ასე იქცევიან მამაცები

ამ დღეებში ზაჰესში ხანძარი გაუჩნდა ნ. ენუკოვის საცხოვრებელ ბინას.

ხანძარი თანდათან ძლიერდებოდა, ცეცხლი განადგურებით ემუქრებოდა არა მარტო ენუკოვის, არამედ მისი მეზობლების ბინებსაც. ხანძრის ადგილას გაჩნდა მილიციის სერჟანტი სერგო ცხოვრებოვი. მისი ყურადღება მოსვლისთანავე მიიპყრო ცეცხლმოკიდებულ ოთახში პატარა ბავშვის უმწეო ტირილმა. როგორც შემდეგ გამოირკვა, იგი მშობლებს ჩაკეტილ სახლში მარტოდ დაეტოვებინათ.

ცხოვრებოვმა დაუყოვნებლივ შეანგრია ბინის კარი და ორი წლის ბავშვი გარეთ გამოიტაცა, გახადა მას ცეცხლმოდებული ტანსაცმელი და სასწრაფოდ მიიყვანა ზაჰესის საექიმო პუნქტში. ამრიგად მან პატარა სერიოჟა ენუკოვი სიკვდილს გადაარჩინა. თვითონ ცხოვრებოვი დაუყოვნებლივ დაბრუნდა ხანძრის ადგილზე და აქტიური მონაწილეობა მიიღო მის ჩაქრობაში. ცხოვრებოვმა ბავშვის მშობლებისა და მათი მეზობლების უსაზღვრო მადლობა დაიმსახურა.

ა. აბუთიძე,
მილიციის პოდპოლკოვნიკი.

* * *

დიდი წვიმების შედეგად თერჯოლის რაიონის სოფელ თერჯოლაში მდინარე ჩხარა უცებ ადიდებულიყო. 10 წლის ბიჭუნა ავთანდილ მორალიშვილი, რომელიც სკოლიდან შინ მიდიოდა, მდინარე ჩხარას საცალფეხო ხიდზე გადავარდა, იგი ადიდებულმა წყალმა მოიტაცა და იხრჩობოდა. ეს ამბავი შენიშნა კოლმეურნე ფოსტალიონმა ნოე კლდიაშვილმა. იგი მდინარეში გადაეშვა და ბავშვი დახრჩობას გადაარჩინა.

ვ. კუტალაძე.

სპორტის ამბები

მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი

15 აპრილს დღისით სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

არონინ-ლუტიკოვის წინა დღეს გადადებულ პარტიაში ციმბირელ ოსტატს ჰქონდა პოზიციური უპირატესობა. შავების მეფემ გადაჭრა სადემარკაციო ხაზი და ფლანგზე მოიგო მოწინააღმდეგის ერთ-ერთი პაიკი. ამ გარემოებამ გადაწყვიტა ბრძოლის შედეგი.

მალე ლუტიკოვმა დადგა ახალი ლაზიერი და 62-ე სვლაზე გაიმარჯვა — ეს არის პირველი გამარჯვება ამ ტურნირში.

პორტიშ (უნგრეთი) -ლარსენის (დანია) დაუმთავრებელ პარტიაში უნგრეთის ჩემპიონმა ხანგრძლივი მანევრების შემდეგ შესწირა ფიგურა ორ პაიკში. ახლა გადადებულ პოზიციაში პორტიშმა უნდა გადაჭრას ძნელი ამოცანა — გამოძებნოს მოგების გზები, გამოიყენოს გამსვლელი პაიკების ძალა ორივე ფლანგზე.

15 აპრილს საღამოს ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში მიმდინარეობდა მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მერვე ტური.

პორტიშთან პარტიაში სმისლოვმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, ინგლისურ დასაწყისში აირჩია ფიგურების განვითარების მეტისმეტად ფრთხილი ტაქტიკა. უნგრეთის ჩემპიონმა კარგად ითამაშა სადებიუტო სტადია და მალე გაანეიტრალა მოწინააღმდეგის მუქარა ხელთ იგდო ინიციატივა. მე-15 სვლისათვის წარმოიშვა სიმეტრიული და თანაბარი პოზიცია, როცა ორივე მხარეს ჰქონდა მძიმე ფიგურები და რკუები. პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ხანმოკლე ბრძოლისა და ლაზიერების გაცვლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მილევ-ბრონშტეინის პარტია.

ამ შედეგებმა გააძლიერეს გროსმაისტერ სპასკის სურვილი გახდეს შეჯიბრების ლიდერი. მისმა მოწინააღმდეგემ ფილიპმა დამაჯერებლად ვერ ითამაშა შავებით ესპანური პარტია და ბრძოლის გამწვავების მომენტში მიიღო ძნელი პოზიცია. საღამოს ცხრა საათისათვის სპასკის მდგომარეობა უკეთესი იყო.

ი. როხლინი,
(საკდესი).

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტურში ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა გათამაშების ცხრილში და მოიპოვა პრიზი პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის. ამჯერად მან დაამარცხა გ. ბებიავა. ა. ჩაიკოვსკაიამ მოუგო თბილისის 1959 წლის ჩემპიონს ლ. ბელოზიოროვას, ნ. ჯანგველაძემ — გ. ბუცხრიკიძეს, მ. სტატნიკოვამ — ლ. წეროძეს, მ. ტოგონიძემ — თ. ქორქოლაძეს, ქ. გოგიავამ — ნ. კიკიანს.

შეხვედრა ხელბურთში

ოდესის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბის გუნდი ჩვენი ქვეყნის ხელბურთელთა უძლიერესი კოლექტივია. მატჩი ჩემპიონთან გაიმართა გუშინ „ბურევესტნიკის" სტადიონზე. ოდესელთა წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის ნაკრები გუნდი. ანგარიში მე-4 წუთზე სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მალე თბილისელებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს.

ბრძოლის შემდგომ ეტაპში თავი იჩინა ოდესელთა უპირატესობამ, რომლებმაც ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს 6 : 4. შეჯიბრების მეორე ნახევარში ანგარიში ჩემპიონის სასარგებლოდ იზრდებოდა. სტუმრებმა გაიმარჯვეს 14 : 8.

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

ამ დღეებში თბილისს ეწვია შვეციის ქ. სუნდსვალის ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც დაკომპლექტებულია „ოსტერსუნდისა" და „ესტრანის" კლუბის ახალგაზრდა სპორტსმენებით.

პირველი საერთაშორისო მატჩი შვედ ფეხბურთელებთან გაიმართა გუშინ „ბურევესტნიკის" სტადიონზე. სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდნენ თბილისის ლოკომოტიველები.

შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. საკავშირო კატეგორიის მსაჯის პ. ბელოვის (ლენინგრადი) სასტვენის ხმამ თამაშის დაწყება გვამცნო. მოედანზე ტემპიანი ბრძოლა გაჩაღდა, მას შედეგი არ მოჰყოლია. ამრიგად მატჩი დამთავრდა ფრედ 0 : 0.

მორიგ შეჯიბრებას შვედი ფეხბურთელები გამართავენ ქუთაისში ადგილობრივ „ტორპედოსთან" 21 აპრილს, რის შემდეგ კვლავ თბილისში დაბრუნდებიან და 23 აპრილს შეხვდებიან ადგილობრივ სკვო-ს გუნდს.

დამთავრდა დებრეს მოლაპარაკება ლონდონში

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). დღეს საღამოს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მიშელ დებრემ დატოვა ლონდონი, სადაც იგი ორი დღის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას ინგლისის მთავრობის მეთაურთან ჰაროლდ მაკმილანთან.

ორივე მხარის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ გამართული მოლაპარაკება მიაჩნიათ „მეტად მნიშვნელოვნად", და აღნიშნეს, რომ „ორივე მხარემ გამოიჩინა განსაკუთრებით დიდი სურვილი გადაეჭრათ დასავლეთის სამყაროს წინაშე დასახული ფართო პრობლემები", და „ცდილობდნენ შეემუშავებინათ შეთანხმებული პოლიტიკა". მაგრამ ამ წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ეთქვათ ჟურნალისტებისათვის რაიმე კონკრეტული მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

აქაურ მეთვალყურეთა აზრით, ეს განცხადებანი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ მოლაპარაკების მონაწილეთ არ გამოუქვეყნებიათ არავითარი კომუნიკე, რომელშიც თუნდაც ზოგადად იქნებოდა აღნიშნული მიღწეული შედეგები, მოწმობენ იმას, რომ ორი მთავრობის მეთაურებმა ვერ შეძლეს მთლიანად მოეწესრიგებინათ ის უთანხმოებანი ევროპის მთელ რიგ პრობლემებზე, რომელთა შესახებ ამ ბოლო დროს ასე ბევრს წერდა დასავლეთის პრესა.

ეიზენჰაუერის განცხადება დალესის გადადგომის შესახებ

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კორესპონდენტებს ოგასტში (ჯორჯიის შტატი) განუცხადა, რომ დალესს, რომელსაც აქვს კიბოს ავადმყოფობა, აბსოლუტურად არ ძალუძს შეასრულოს შემდეგში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში იგი დანიშნავს დალესის მონაცვლეს. მან უარი თქვა ეცნობებინა. დაინიშნება თუ არა ამ პოსტზე სახელმწიფო მდივნის მოადგილე კრისტიან გერტერი.

დალესის გადადგომის გამო

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკდესი). ამერიკის დეპეშათა სააგენტოების ცნობით, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა დღეს ოგასტში (ჯორჯიის შტატი) გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი კ. გერტერი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური დასავლეთის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც უნდა მოეწყოს პარიზში 29 აპრილს, და ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც გაიხსნება ჟენევაში 11 მაისს.

დოლარის სესხებს, რასაც ირანი იღებს, ნთქამენ უცხოელი სპეციალისტები, რომლებიც „კალიასავით" მოედვნენ ირანს.
(გაზეთებიდან).



ნახატი ვ. ლომიძისა.

ჩინელი ხალხის დიდი გამარჯვება

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, აქ გამოქვეყნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სახალხო მეურნეობის განვითარების 1953-1957 წლების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით, ჩინეთის ყველა ხალხის მტკიცე ღონისძიებათა მეოხებით, საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების დახმარებით, ნათქვამია ცნობაში, 1957 წლის დამლევისათვის გადაჭარბებით შესრულდა ჩინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმა.

1956 წელს ძირითადად დამთავრდა სოციალისტური გარდაქმნების ამოცანები სოფლის მეურნეობაში, შინამრეწველობაში, კაპიტალისტურ მრეწველობასა და ვაჭრობაში. 1957 წელს ხუთწლედის გადაჭარბებით შესრულების შედეგად თავდაპირველი საფუძველი ჩაეყარა ჩინეთის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას.

ჩინეთის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურაში მომხდარი ძირეული ცვლილებანი, აღნიშნულია სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში, შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ციფრებით: სახელმწიფოს სექტორის წილი ეროვნულ შემოსავალში 1952 წლის 19 პროცენტიდან 33 პროცენტამდე გაიზარდა 1957 წელს. ამავე ხნის განმავლობაში კოოპერაციული სექტორის წილი გაიზარდა 1,5 პროცენტიდან 56 პროცენტამდე, ხოლო შერეული სახელმწიფოებრივ-კერძო სექტორის წილი 0,7 პროცენტიდან შემცირდა 3 პროცენტამდე, ხოლო კაპიტალისტური სექტორისა — 7 პროცენტიდან 0,1 პროცენტამდე და მეტად.

განვლილ ხუთწლედში კაპიტალურ მშენებლობაში ძირითადი ყურადღება დათმობილი ჰქონდა მძიმე მრეწველობას. მაგალითად, მრეწველობაში კაპიტალდაბანდების საერთო თანხიდან მძიმე ინდუსტრიაზე მოდიოდა 87 პროცენტი. ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 10 ათასი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა, ე. ი. 277 ობიექტით მეტისა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. 166 მსხვილი ობიექტიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება, 1957 წლის დამლევისათვის 68 მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცა საექსპლოატაციოდ.

უკვე 1956 წელს მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის — ფოლადის, თუჯის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ორთქლმავლების, ავტომობილების წარმოებაში მიღწეულია ხუთწლიანი გეგმით 1957 წლისათვის გათვალისწინებული დონე. ფოლადისა და თუჯის გამოდნობა 1957 წელს შეადგენდა 11.290 ათას ტონას ნაცვლად 3.280 ათასი ტონისა 1952 წელს. 1957 წელს გამომუშავებულ იქნა 19,3 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია ნაცვლად 7,26 მილიარდი კილოვატსაათისა 1952 წელს. ხუთწლედის დამლევისათვის, 1957 წელს ჩინეთში ამოღებულია 130 მილიონი ტონა ქვანახშირი, გამოშვებულია 28 ათასი ცალი ლითონსაჭრელი ჩარხი.

სამრეწველო მშენებლობის მსვლელობაში ძირეულად შეიცვალა ჩინეთის მრეწველობის სახე. ამჟამად ჩინეთში გაჩნდა მრეწველობის ახალი დარგები — თვითმფრინავმშენებლობა, ავტომობილმშენებლობა, თანამედროვე ჩარხმშენებლობა, წარმოიშვა ენერგეტიკული, მეტალურგიული და სამთო მოწყობილობის საწარმოები. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომის ნაყოფიერება. 1957 წელს შრომის ნაყოფიერება 61 პროცენტით გადიდდა 1952 წელთან შედარებით.

მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ჩინეთის სახალხო მეურნეობაში, მრეწველობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი შეცვლა. მრეწველობისა და შინამრეწველობის ხვედრითი წონა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 1952 წლის 41,5 პროცენტიდან გადიდდა 56,5 პროცენტამდე 1957 წელს. 1957 წელს მრეწველობაში საწარმოო საშუალებათა წარმოება 3,2-ჯერ გადიდდა 1952 წელთან შედარებით. წარმოების საშუალებათა ხვედრითი წონა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში 1957 წელს 52,8 პროცენტს შეადგენდა ნაცვლად 1952 წლის 39,7 პროცენტისა.

მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების დროს სწრაფად ვითარდება მსუბუქი მრეწველობაც. 1952-დან 1957 წლამდე ფართო მოხმარების საგნების წარმოება 89 პროცენტით გადიდდა.

ხუთ წელიწადში დიდი წარმატებებია მიღწეული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც. მარცვლეულის მოსავლის ხუთწლედის დავალება შესრულებულია 102 პროცენტით. ხუთ წელიწადში დასამუშავებელი მიწების ფართობი გადიდდა 3.910 ათასი ჰექტარით, ხოლო სარწყავი მიწების ფართობი 14.540 ათასი ჰექტარით. ხუთწლედში მოეწყო 710 სახელმწიფო მეურნეობა, რომელთა მინდვრებშიც 10 ათასზე მეტი ტრაქტორი მუშაობდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა ჩინეთის ტრანსპორტზეც. 1957 წელს ჩინეთში იყო 29.862 კილომეტრი რკინიგზა, ე. ი. 22 პროცენტით მეტი, ვიდრე 1952 წელს. ხუთ წელიწადში აშენდა ათეულ ათასობით ახალი გზატკეცილი, გაიხსნა 13 ათასი კილომეტრი ახალი ავიახაზი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება საქონელბრუნვა, კერძოდ გადიდდა საცალო ვაჭრობა. ბაზრების ფასები სტაბილიზებულია. სახელმწიფომ გაადიდა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სახეობის პროდუქციის შესასყიდი ფასები და შესაბამისად მოაწესრიგა გასაღების ფასები.

ექსპორტისა და იმპორტის საერთო მოცულობა 1957 წელს 62 პროცენტით გადიდდა 1952 წელთან შედარებით.

ამაღლდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე. 1957 წელს ჩინეთში 24.510 ათასი მუშა და მოსამსახურე იყო. მათი საშუალო წლიური ხელფასი 1957 წელს 42,8 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1952 წელს. ხუთ წელიწადში სახელმწიფომ 10 მილიარდ იუანზე მეტი გამოჰყო მუშა-მოსამსახურეთა შრომითი დაზღვევისათვის, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. სახელმწიფოს ხარჯზე აშენდა 94 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

„ჩინეთის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ძირეული შეცვლის მიზნით, ნათქვამია სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს ცნობის დასასრულს, ჩინელი ხალხი, ხელმძღვანელობს რა პარტიის გენერალური ხაზით, რომელიც მოუწოდებს დაძაბოს მთელი ძალები, ისწრაფოს წინ, აშენოს სოციალიზმი მეტი, უფრო სწრაფი, უკეთესი და უფრო ეკონომიური მშენებლობის პრინციპით, თავისი ძალების მტკიცე რწმენით გაბედულად მიდის წინ, რათა განახორციელოს მეორე ხუთწლიანი გეგმის კიდევ უფრო დიდებული პროგრამა".

უცხოეთის ქრონიკა

◆ როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი აკრიდან იუწყება, გამოვიდა რა გუშინ რადიოთი აფრიკის თავისუფლების დღის გამო, განის პრემიერ-მინისტრმა კუამე ნკრუმამ განაცხადა, რომ სანამ აფრიკის კონტინენტზე რჩება თუნდაც ერთი კოლონიზატორი, აფრიკის ყოველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს თავისუფლებასა და უშიშროებას ემუქრება შესაძლო აგრესიის საფრთხე.

„ჩვენ უარვყოფთ თეზისს, თითქოს აფრიკა რომელიმე სხვა კონტინენტის დანამატი იყოს, — განაგრძო მან, — თვითდაჯერებაა იმის მტკიცება, როგორც ამას ზოგიერთები სჩადიან, რომ აფრიკის რომელიმე ნაწილი იმპერიალისტური დაპყრობისა და ანექსიის შედეგად შეიძლება გახადონ ევროპის შემადგენელ ნაწილად".

ნკრუმამ აღნიშნა, რომ კოლონიალიზმის თავგანწირული ცდები ვერ შეაჩერებენ აფრიკის განთავისუფლებას. აფრიკელ პატრიოტთა ტრაგიკულმა დაღუპვამ და ტანჯვამ, რომლებიც იბრძვიან, რომ განამტკიცონ თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების უფლება თავიანთ საკუთარ მიწა-წყალზე, კიდევ უფრო გააძლიერა თავისუფლების ცეცხლი „აფრიკა, — დასძინა მან, — უეჭველია, მიდის თავისუფლებისაკენ".

◆ პრაღაში, ბრნოში, პარდუბიცესა და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებში „ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ" ლოზუნგით გაიმართა მიტინგები და კრებები, რომელთა მონაწილეებმა — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ მებრძოლებმა და ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრებმა — თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ იზრდება ფაშიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღორძინების საფრთხე დასავლეთ გერმანიაში. ამ მიტინგებსა და კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში ჩეხოსლოვაკიის ხალხი სოლიდარობას უცხადებს ორივე გერმანული სახელმწიფოს მშრომელებს მათს ბრძოლაში ფაშიზმის, მილიტარიზმის წინააღმდეგ, ბრძოლაში ომის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

◆ ომანის წარმომადგენლობამ კაიროში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ, ინგლისის კოლონიურ ხელისუფალთა მისწრაფების მიუხედავად არ გაუშვან ომანის ფარგლებს გარეთ ინფორმაცია ომანის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, წარმომადგენლობის კორესპონდენტებმა შეძლეს გამოეგზავნათ ცნობები ომანის უკანასკნელი ამბების შესახებ.

ამ ცნობებში ნათქვამია, რომ სულ უფრო ფართო მასშტაბით წარმოებს ბრძოლები ომანელ პატრიოტებსა და ინგლისის ჯარებს შორის. ამ ბრძოლების შედეგად უკანასკნელ ხანს მოკლულია 40 ინგლისელი ჯარისკაცი. ომანელების ნაღმების აფეთქებამ მოსპო ინგლისის რამდენიმე ავტომანქანა.

„ომანს დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა გამარჯვებამდე", — ნათქვამია განცხადებაში.

◆ როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, 15 აპრილს ვაშინგტონში არაოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

◆ გამოვიდა რა პრესკონფერენციაზე, ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რაშიდ ქარამემ განაცხადა, რომ ლიბანს განზრახული აქვს კვლავ განახორციელოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და არავის მისცემს ნებას, რომ იგი კონფლიქტებში ჩააბან. ლიბანი, აღნიშნა მან, ეცდება განამტკიცოს არაბთა ქვეყნების ერთიანობა.

◆ 15 აპრილს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს თათბირის მორიგ სხდომაზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა, მიმდინარეობდა თათბირზე შეტანილი დოკუმენტების განხილვა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 16 აპრილს.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1) კლინიკური ორდინატორის — 2 (1 — ტრავმატოლოგიაში, 1 — ორთოპედიაში);

2) ასპირანტის — 1 (ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში).

(სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი). ყველა საჭირო საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას თანახმად დებულებისა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 51). კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ბაღჩისარაის შადრევანი (მე-11 აბონემენტის მე-9 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნაამბობი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ტაიფუნი, **გრიბოედოვის სახელობის** — საქმოსანი, **სომხური დრამის** — ბალების სიმღერა, **მუსიკალური კომედიის** — ვახშამზე (რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (5 ს.), **თოჯინების ქართული** — ბრაზიანი მეზობლები (11 ს.), დიდი ივანე (2 ს.), **სანკულტურის** — ერთი შეცდომის შედეგი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — სახელმწიფო საესტრადო ანსამბლის გასტროლები ქაქ დუვალიანისა და სხვების მონაწილეობით.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 02508
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.